

832  
1979



ორგანო საბ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთის გუბრიელ.  
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# ჩვენი დროშა

“NOTRE DRAPEAU”

დაადგენალია ნომ შორიდანია 8004.

თემები — გილი 1979 პ ა რ ი ზ ი

№ 92

შ ი ნ ა რ ი ს ი.

„ცეცხლის კერანი“.

3. სარჯველაძე.

ნოე უორდანია. — გარდაცვალებიდან

26 წლისთვეი.

ლ. ფალავა.

აუღებელი ციხე.

3. ს.

„მაინც მოვიდნენ ბიჭები!“ ლექსი.

X

საქართველო და აფხაზეთი

ქ. ინასარიძე.

შმიდა შუშანიქას მარტვილობა.

3. ს.

რუსული ნაციონალიზმი

3. სარჯველაძე.

რუსი დისიდენტების დეკლარაცია.

3. ს.

თავისუფლების ფრონტი.

3. ს.

სამშობლოს ტკივილები და დევნილები.

გრ. წერეთელი

„მესამე სვეტი“

ქ. ინასარიძე.

ალექსანდრე ლომთათიძე.

ი. სალუქვაძე.



## უცვლელი თანილი

ვიგონებთ იმ ბრწყინვალე დღეს, 26 მაისს, როცა ქართველმა ერმა 117 წლის მონობის შემდეგ დაიბრუნა დამოუკიდლებობა.

საქართველო გამოიჭედა პოლიტიკურად, გაერთიანდა ტერიტორიალურად, რაც არ მომხდარა დავით აღმაშენებლის შემდეგ. დღეს იმ უცვლელი თარიღის დღესასწაული აქრძალულია, ერთს ბრწყინვალე მონაპოვარი გაყალბებულია და ეს იმიტომ, რომ მოსკოვისაგან ჩადენილი ბორბოტება დამალულ იქნას ახალთაობებისათვის, გადალულ იქნას ქართული სახელმწიფოს მიღწევები, რამაც განცემული მოიყვანა განათლებული კაცობრიობა.

ევროპა—აზიის გზაჯვარადინზე აფრიალდა თავისუფლების დროშა. დასაცელეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ჩვენს სამშობლოს თავისუფლების ოაზისი შეარქევეს.

ჩრდილოეთიდან მოწოდილმა წითელ ურდოებმა, სისხლითა და მახვლით დაგვინგრის სახელმწიფო შენობა.

ახლად აღირდინებული სახელმწიფოს მშენებელნი; მოწინავე გლეხობა, მუშები, გონებრივი მუშაქი ციხე-სარ-

დაფებში ჩაყარეს, აწვალეს და აწამეს. სამფეროვანი დროშა ტყვეობაში მოაქციეს. მტერი სასტიკად დამარცხდა; დროშა თავისუფლების ქართველთა გულში ჩაიმარხა, თავისუფლების სურვილი, მისწრაფება მის მოსაპოებლად მომწიფდა და გაიზარდა.

განა ეს ცარიელი სიტყვებია? — განა მრავალი მაჩვენებელი ფაქტორები ცხად არ ყოფენ, რომ ეროვნული მაჯისცემა არ შეჩერებულა, რომ იგი ვლინდება სხვა და სხვა ფორმებში, სხვადასხვა შინაარსით? — იცვლება ბრძოლის ტაქტიკა, რჩება სული მებრძოლი და უდრევი ნებისყოფა ერისა.

დღეს ხომ ყველა ერები, ზოგი ეთნიურად ნაკლებად გამორკვეულნი, სუსტინი პოლიტიკურად, იბრძეს, თხოულობს დამოუკიდებლობას. დრო მიღის, თავისუფალ ერთა რიცხვი მატულობს. ტექნიკის უაღრეს განვითარებამ თუ წარმოშვა ერთა დაკავშირების აუცილებლობა, პირიქით გაარღმავა ბრძოლა იმ ერებისა, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან ღიდ და ძლიერ ერთა ფარგლებში ჩაჭედილნი.

რამდენიმე ათეული ახალი სახელმწიფო შეემატა ერთა ოჯახს, მათი სუვერენობა მოპოებელი იქნა ზოგი ნებაყოფლობით, ზოგი განუწყვეტელი ბრძოლებით. განთავისუფლებულ ერთა უმეტესობა მეგობრულ კავშირში დარჩა გუშინდელ მპყრობელებთან. რუსის ხალხის სამწუხაროდ, საბჭოთა დიქტატურა ვერ ურიგდება იმ ერების გამოყოფას, რომლებიც მან ირალით დაიპყრო.

დრო ჩაგრულ ერთა სასარგებლოდ მუშაობს. ქართველი ხალხის რაინდული მხნეობა ურყევი რჩება, მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. იმედით და რწმენით უნდა შევიარალდეთ!

გვრწამდეს რომ ორიათასი წლის კულტურის, მატარებელი ერი მოიპოვებს დამოუკიდებლობას.

ქართველებს გვჭირდება რწმენის სიმტკიცე, სულიერი გამძლეობა. 26 მაისს დროშის ერთგულება. ერს წინ მიუძღვის თავისუფლებისათვის, ძევლი ნაცადი გზის მაჩვენებელი 1918 წლის 26 მაისი.

## ცეცხლის კირანი

მოულოდნელი გახდა მთელ მსოფლიოსათვის ის დიდი პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში; მის შედეგს უსათუოდ მოჰყვება ლრმა საერთაშორისო ხასიათის წედებები.

ჩინეთ - ამერიკა - იაპონიის დაახლოებამ აამოძრავს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ჩინეთი გამაგრებული ამ ორი სახელმწიფოს მიერ, გადადის დიპლომატიურ შეტევებზე; ამხელს მოსკოვის იმპერიალისტურ ნაბიჯებს რომელიც წარმოებს აფრიკაში, მის დივერსანტულ პოლიტიკას. ჩინეთი განუწყვეტლივ აფრთხილებს ევროპას, რომ მას დიდი საფრთხე მოელის საბჭოთა კავშირიდან. მოსკოვი კი თავის მხრით, ცდილობს ევროპის ნეიტრალიზაციას ჩინეთის შიშით. ჩინეთის ზოგიერთი მიღწევები, და განსაკუთრებით, მისი შემოჭრა, უმთავრესად, ე. წ. „სატელიტებში“ ყველაზე მეტად ანერესულებს.

ჩინეთ - ვიეტნამის სამხედრო შეტაკებამ, უსათუოდ, შეასუსტა ამ მხარეში ამერიკის პოზიცია, რომელსაც არ შეეძლო ჩინეთისათვის აშკარად მხარის დაჭერა. ამერიკა ცდილობს გაამაგროს თავის პოზიციები ფილიპინში, ტერლანდში, სინგაპურში, მალეზიაში. წყნარ ოკეანეში, საბჭოთა კავშირი პასუხობს იქ საზღვაო შეიარაღების გაძლიერებით...

ჩინეთის ეკონომიკური და მისი სამხედრო ძალა თანდათანობით იზრდება და მაგრდება, რაც ადგილი გასაგებია, თუ მიეიღობთ მხედველობაში რომ ჩინეთის ბაზარი დიდს ინტერესს წარმოადგენს ინდუსტრიალურად განვითარებულ ქვეყნებისათვის, რომელმაც ფართედ გაულო კარი უცხო კაპიტალს...

საფრანგეთის მინისტრი, თავის ნარკვევებში ჩინეთზე ერთ ადგილას ამბობს: „როცა ჩინეთი გამოილვიძებს მთელი მსოფლიო შეინძრევა“-ო.

ჩინეთის გამოლვიძება, ყველაზე მეტად აფრთხოებს მოსკოვს, ხოლო მის ფარგლებში, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერებს აფიქრებს და საგონებელში აგდებს.

ირანის შახიდან გაძევებულმა იემენ კამიენმა, უცხოეთდან, მოუწყო შახს შეთქმულება. მან მოხერხებულად გამოიყენა ირანში შექმნილი პოლიტიკურ - ეკონომიური მდგომარეობა. დღეს, გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შახი დაშორდა მცხოვრებთა დიდ ნაწილს, ვერ გაითვალისწინა რომ ის ერთს დღეს, მსხვერპლი გახდებოდა პოლიტიკური ავანტურის და გადაიტანდა შახის ბატონობას. ამ უკანასკნელმა გადაიკიდა აგრეთვე ლიბერალური ინტელგენცია, რომელიც ითხოვდა ქვეყნის წესწყობილების ლიბერალურ გზაზე დაყენებას, აზრის თავისუფლებას მონარქიულ რეჟიმის ფარგლებშიაც კი. შახმა მოინდომა და ნაწილი შეასრულა კიდეც; მან ქვეყანა მოდერნიზაციის გზაზე შეაყენა.

განდევნილ აიატოლამ გააძლიერა ჩამორჩენილ მცხოვრებლებში პროპაგანდა, ჩელიკიური ფანატიზმით გაფლენითი მასები მას გაპყვა; მოლებმა აიღეს მათი მეთაურობა და მთახდინეს ჩევოლუცია, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. შახი და მისი მთავრობის თავმჯდომარე იძულებული გახდა უცხოეთში გადახიზნულიყვენ; შახის ერთგულმა ჯარმა ვერ გასწირა, ასიათასობით ქუჩებში გამოსული ახალგაზრდობა და იარაღი დაპყარა...

აიატოლა კომინი არნახული ენტუზიზმით იყო მიღებული სამშობლოში. მან მოლების მეთაურობით დაარსა თავისი კომიტეტები, მის მიერვე შემდგარი მთავრობა თავის გაელენის ქვეშ დააყენა.

კომინმა უარტყო დასავლეთის ცივილიზაცია და რეფერენდუმის გზით ისლამის კანონებზე დააფუძნა ხხალი რეემიზი, ახალი სახელმწიფო. აქედან იწყება, შეიძლება, მისთვის დაუძლეველი დაბრკოლებები: მანიფესტანტების მიერ დანგრეული ქალაქების აღდგენა, ნავთის მრეწველობის ამუშავება, აჯანყებული ქურთისტანის აჯანყების ჩაქრობა, მრავალი ეკონომიურ-პოლიტიკური დაბრკოლებანი, ნაწილი ქალების მანიფესტაციები, რომლებსაც არასურთ ჩაღრით ცხოვრება.

ახალი ისლამური სპარსეთის მთავრობა იძულებული ხდება ეძებოს მშეიდობიანი გზები დასავლეთთან. 2,500 კილომეტრიან საზღვარზე მომდგარი საბჭოთა წრუსეთის საშიშროების აჩრდილი, ყვალაზე მეტად აწვება ირანს..

რევოლუცია არა თუ დამთავრდა, შეუძლებელი არ არის, იგი შეტრიალდეს, თვით აიატოლას წინააღმდეგ.

ჩვენი შორეული ისტორიული მტრის, მაგრამ არც რე შორეული მეზობლის მდგომარეობა, არ შეიძლება ქართველობის დაძაბულ ყურადღებას არ იპყრობდეს.

— : —

ახლო აღმოსავლეთში, დიდი ხნიდან შექმნილ საომარ მდგომარეობას თითქოს ბოლო ელება. — ეგვიპტედან მოსკოვის განდევნის შემდეგ, ეგვიპტეს პრეზიდენტის მიერ სამშეიდობო ნაბიჯის გადადგამ, უსათუოდ დიდი დადგებითი ნაყოფი გამოიღო; ეგვიპტე-ისრაელის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, რომ მოსკოვი წინ აღდგა, აქ გასაკირი არაფერია; მშეიდობიანობა და ზავი სრულებით ხელს უწყობს მოსკოვს, აწარმოვოს თაჭისი საგარეო დივერსენტული პოლიტიკა.

რასაკვირველია განაწამებულ პალესტინის ხალხმა უნდა მიიღოს თავშესაფარი, დაიბრუნოს დაკარგული ადგილები და დამყაროს თავისი სახელმწიფო, ხოლო მის გვერდით, უკეთ აღდგენილი, საუკუნეების მანძილზე, ებრაელთა სისხლით მონაპოვარ სახელმწიფოსაც უნდა ექნეს სრული გარანტია არსებობისა. მათ შორის შეთანხმების მიღწევა შესძლებელი ხდება, რაღაც ეგვიპტეს და ისრაელის შეთანხმების ნიაღაზე, პალესტინელებს ეძლევათ ავტონომიური უფლებები და დროთა ვითარება-ში, ყველასათვის ცხადია, ავტონომია გადაიქცევა დამოუკიდებლობად.

მოსკოვის და არაბეთის ზოგიერთი ქვეყნების უარყოფითი პოზიცია ხდება: გაუგებარი. ერთი ცხადია, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მოსკოვს აქვს თავისი იმპერიალისტური ზრახვები. მას რომ ნეიტრალიტეტი დაეც

და, — ეგვიპტე — ისრაელის შეთანხმების გზით ახლო აღ-  
 მოსავლეთში სრული მშვიდობიანობის დამყარება შესაძ-  
 ლებელი იქნებოდა...

ისე როგორც მსოფლიოს სხვა კუთხეში, ახლო აღმო-  
 საელეთში ორ გიგანტთა შორის ხდება დაპირისპირება;  
 თუ ამერიკა ცდილობს შვიდობიანობის ჩამოგდებას, საბ-  
 ჭოთა რუსეთი მას წინ ეღობება.

## 6. შორდანია

(გარდაცვალებიდან 26 წლისთავზე)

26 წელი გავიდა მას შემდეგ რაც ნოე ეორდანიამ  
 სამუღამოდ დაგვტოვა. 11 იანვარს 1953 წელს, ქართველ-  
 მა ერმა დაჰკარგა ის პიროვნება, ქართველის მეთაურობით  
 დაწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბრწყინვალე ფურც-  
 ლები. ნოე ეორდანიას სახით ქართველი ხალხი იგონებს  
 იმ დიად მოვლენას რომელიც დატრიალდა ჩვენს დედა-  
 ქალაქ თბილისში 26 მაისს 1918 წელს, ნოე ეორდანიამ  
 მთელი ქართველი ერის დავალებით, განურჩევლად პარ-  
 ტიისა თუ მიმართულებისა, მსოფლიოს ამცნო: „ამიერი-  
 დან, საქართველო თავისუფალი, სუვერენული სახელმ-  
 წიფოა და ფორმათ თავის მართველობისა იჩევს დემოკ-  
 რატიულ რესპუბლიკას“ -ო.

ნოე ეორდანიას უცხოეთში დაეხუჭა თვალები, ჩვენი  
 ქვეყნის დამპყრობელმა უხეშმა ძალამ მას არ აღიჩია თა-  
 ვის სამშობლოში განსვენებაც კი.

15 იანვარს 1953 წელს, პირქშ გაყინულ ცის ქვეშ  
 ჩვენი პრეზიდენტი უცხოეთის გაყინულ სამარტი მივაბა-  
 რეთ. „ნუ დამიერწყებთ უცხოეთის ცივ მიწაში მგდება-  
 რეს!“ სწერს მის დღიურში თავის შვილებს და შვილიშვი-  
 ლებს. „არც ერთი სიტყვა, არც ერთი გვირგვინი!“, შენი  
 ეს სურვილი, ჩვენ შენ შეგისტულეთ ჩვენო ძვირფასო  
 პრეზიდენტი! მაგრამ ამ 26 წლისთავზე, ნებას ვაძლევ ჩემს  
 თავს და ვარღვევ შენ ანდერძს; მოედიეარ ჩემი ცხოვრე-  
 ბის მიწურულში შენს საფლავთან და მსურს გესაუბრო

არა როგორც მიცვალებულს, არამედ თითქო ცოცხალს და გითხრა ის რაც მე სიცოცხლეში ვერ გავიჩედე.

შენ იყავი ჩეენი ერის საუცხოო, საოცნებო სამკაული. „ჩემი ხალხის თავისუფლება და ბედნიერება, — ია ფიცი რომელიც მე მიცვეცი ჩემს თავს, — რომელსაც შევს-წირავ ჩემს ჭკუაგონებას, ჩემს სულს, ჩემს ფიზიკურ და მორალურ ძალას“ — ვკითხულობ შენს დღიურში. ეს ფიცი, ფიცი შენი გაუტეხელი, ფიცი შენი მტკიცე შენ უნაკლოდ შეასრულე. ნათელი გონიერითაა სავსე შენი საქმიანობა, რომელსაც სიკეთის დაღი ასეია. შეუვალ უნაკლო ლოლიკით დაჯილდოვებულს, ფაქტების მხილებით და მისი შუქწე გამოტანით, თვალსაჩინო ახსნა განმარტებით, სიმართლის დამტკიცება, თქმა ყველაფრის ჟუშიშრად, აშკარად, ყველა წყლოლთა განკურნებისათვის, შენ იშვიათო მეოცნებე პიროვნებავ! აშუქებდი, სინათლეს ჰფენდი შენს ხანას, შენს ეპოქას და მას წინ უსწრებდი. შენ იყავი ქართველი ერის ის დიდი რაინთავანი, რომელ-მაც პრაქტიკულად განახორციელე დიდი ილიას სიტდევები: „ჩეენი თავი ჩეენვე უნდა გვეყუდნესო“.

„ჩემი თავის ზემოთ ვაყენებ ჩემს პარტიას, მაგრამ ჩემი თავის, ჩემი პარტიის მაღლა ვაყენებ ჩემს სამშობლოს; ყველა ნამდვილი პატრიოტის მოვალეობაა უანგაროთ ემსახუროს მას, მაგრამ ბოროტებაა პატრიოტიზმის გამოყენება; მძღვანელების შესაქმნელად, ბოროტებაა პატარების და უძლურების ჩაგვრა, ბოროტებაა საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა. მაწუხებს ქართველ შტრომელთა საბრალო მდგომარეობა, ვარ სოციალისტი იმ შევნებით, რომ ეს უკანასკნელი იბრძოლებს და დაი-ცავს სამართლიანობას“. განაგრძობ შენს დღიურში, და ეს მოვალეობაც შენ პირველმა შეასრულე ბრწყინვალედ, მედგრად, შეურყევლად. შენ გატაცებით გიყვარდა შენი ხალხი, შენი სამშობლო საქართველო, რომლის სიმბოლო გახდი შენ. შენ იყავი შენი ხალხის რჩეულთა შორის რჩეული; შენი ხალხი შენში ხედავდა მისი მისწრაფების, გამოსახვის ჩეენებას. შენ შესძელი მთლიანად შენი ერის იდე-

ალის, ნაბასურეილის მკაფიოდ წარმოსახვა და მისი წარმომადგენლობა.

„ჩემი სურვილია ჩემი ერის თავისუფლება, მისი სუვერენობა, რომელიც ფორმად თავის წყობილებისა აირჩევს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც იმედებს სიმართლე, მორალი, მართლმსაჯულება და კაცომოყვარეობა“ — ამბობ შენს დღიურში.

ახლად შობილმა საქართველომ, სწორედ ეს გაიხადა თავის დროშად და იდეალად. უცხო ძალამ უხეშად ყველაფერი ეს მოვეტაცა. შენ ბევრი იტანჯე ერის მიმართ ჩადენილ უდიდეს უსამართლობით, მაგრამ დარჩი მუდამ, ყველან, მუდამ ოპტიმისტი და გამბედაობით აღსავს.

შენზე ვერ იტყვიან, იყო და ოლარ არისო; — შენ იყავი ხარ და იქნები ყველა ქართველის გულში, სანამ ჩენი პატარა ერი იარსებებს, რომელიც განავრძობს ბრძოლას თავისუფლებისათვის შენთან ერთად; რადგან შენი დიდი აჩრდილი ჩენ გვიცას უიმედობისაგან, სასოწარკვეთო-ლებისაგან და დაეჭვებისაგან.

ეხლა მშეიღობით! უფრო სწორად ნახვამდის!

მოვდივარ მე ხშირად ლევილის სასაფლაოზე შენს სანახავად, ისე როგორც ზურაბის დედა „სურამის ცხის“ კედელთან და ვფიქრობ: „ლოვილო! შენ სასაფლაოს წიაღწი განისვენებენ საქართველოს საამაყო შვილები და გთხოვ „დრომდე შეგვინახე!“.

შენთან ერთად, ძვირფასო ნოე! ამ სასაფლაოზე სამუდამოდ სძინავთ ჩენ ეროვნულ მთავრობის წევრებს; შენს დიდ მინისტრს და მარჯვენა ხელს ევგენი გეგეშვილს, კოწი კანდელაქს, გიორგი ერაძეს, აკაკი ჩხენკველს, რაფ-დენ არსენიძეს; ჩენი ქვეყნის პირველ დემოკრატიული პარლამენტის, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს სიმონ მდიგანს და დამფუძნებელ კრების წევრებს.

გაკლიათ, პარიზის ქუჩაზე, მტრის ტყვიით განვმირული პატარა საქართველოს დიდი მინისტრი ნოე რამდევილი; დიდი კარლო ჩხეიძე, რომელმაც თავისი ხელით ყელი გამოიჭრა, რადგან ვერ იატანა უცხოეთი და ქართ-

ველი ერის ტანჯვა. (პარიზის სასაფლაოებზე განისვენებენ). პარიზის სასაფლაოზე განისვენებს აგრეთვე, დიდი ქართველი მოღვაწე, მწერალი გიორგი გვაზავა. შანთანაა დიდი ტრიბუნი კაკი წერეთელი; აქვეა საქართველოს გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელმაც გაასხიერა ქართული ხმალი და გვასწავლა თუ როგორ უნდა ბრძოლა სამშობლოს დამპყრობელთან. აქვე სძინავს მუდამ მკერქცხლს, თერგსაეთ მოუსვენარ გმირს ვალ. გოგუაძეს, რომელმაც ასახელა ახლად აღორძინებულ თავისუფალ საქართველოს იარალი. აქვე განისვენებენ: ლამარას ავტორი გრიგოლ რობაქიძე და ისტორიკოსი მიხ წერეთელი; ერენულ დემოკრატების დიდი ლიდერი პეტრილიძე; დაუვიწყარი სიმონ წერეთელი, პოლკოვნიკი, ჭიათურის აჯანყების ბრწყინვალე მეთაური. ისტორიკოსები, მეცნიერნი, მწერლები, უურნალისტები; ცნობილი რუსთაველოლოგი ვიქტორ ნოზაძე და სხვ.

თქვენ! ახალი დამოუკიდებელი საქართველოს ფუძემდებელნო! თქვენ მოხსენით ქართველ ერს, რუსეთის მიერ ძალით მოხვეული რუსული ქურქი, გამოსჭრით თავისუფლების ახალი თარგი, და ქართველი ერის ნებასურვილის მიხედვით მაარეთ მის გაერთიანებულ სხეულს, და სარჩულად დაუდევით, კონსტიტუციის სახით დიად 26 მაისს.

შენს სახელს, — თქვენს სახელებს არ ივიწყებ ს ქართველი ერი, რომელიც ახალი დიდების შერავანდედით გმოსავთ თქვენ, და გიძლენით იმ საუცხოო თაიგულს რომლის სახელია: ქართველი ხალხის უდიდესი გულწრფელი სიყვარული და შადლობა.

ლევან ფალავა,

## აუდებელი ციხე... .

(თებერვლის გამო).

დიახ, არის ერთი ციხე აუდებელი! სალი კლდე, რომელ-  
 საც საუკუნეთა მანძილზე ასკდება ტირანთა შეტევები.  
 მას ვერ სწოდება ვ ერც წვიმა, ვ ერც ქარიშხალი,  
 ვერც ქვემეთა გრიალი, ის სდგას შურყევი, შეუდრევი  
 ვითარცა კერპი მიუკარებელი. ეს ძალაა, ფესვები მშობ-  
 ლიურ წიალიდან ამოხეთქილი, ერთ სალ კლდეთ ქცეუ-  
 ლი, ყველა იდეოლოგიაზე მაღლა რომ სდგას: ვუწოდოთ  
 მას ერთი სახელი: ნაციონალიზმი.

კრემლის ბატონებმა არა ერთჯერ შესცვალეს პოლიტი-  
 კა მის მიმართ. ჯერ იყო მისი უარყოფა, — ომის დროს  
 მისით საჩვენებლიბა, და საბოლოოდ მოჩვენებითი ფედე-  
 რაცია უუფლებო; პირსაფარი ეროვნული ფესვების ამო-  
 საგლეჯად რუსიფიკაციის დამატებით.

ეს ფესვები კი იზრდებიან, ფართოვდებიან და უპი-  
 რისპირდებიან ძალადობით მაცხონებელ კრემლის ბატო-  
 ნებას. . .

უკანასკნელ დროს მომხდარი ფაქტები ცხადყოფენ,  
 მკეთრად მეტყველობენ ნაციონალურ მისწრაფებათა  
 სიძლიერეს საბჭოთა კავშირში, რომლის მიმართ უძლურია  
 მოსკოვი.

აი ფაქტებიც: რუმინეთის პრეზიდენტი მიწვეული მოს-  
 კოვში ბედავს ხელი არ მოაწეროს შეთანხმებას, რომლის  
 ძალით მას უნდა გაედიდებია სამხედრო ბიუჯეტი და  
 მით გაეძლიერებია მოსკოვის სამხედრო შეიარაღება. ის  
 აცხადებს, რომ მას ურჩევნია თანხა მოახმაროს საკუთარ  
 ქვეყნის მცხოვრებთა კეთილცხოვრებას.

პოლონეთმა იდლესასწაულა 60 წლისთავი მისი დამოუ-  
 კიდებლობის აღდგენსა 1918 წელს, რომელიც მას დაკარ-  
 გული ჰქონდა 122 წლის წინ. იგი იყო რუსეთის, პრუ-  
 სიის და ავსტრიის მფლობელობაში.

პირველად არის, რომ პოლონეთის კომუნისტური ხელისუფლება დღესასწაულობს პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის ამ ისტორიულ დატას.

დღესასწაულის გარემოცვაში შეიქრიბა სენატი, სადაც კომპ. მდივანმა წარმოსათქმა მხურვალე სიტყვა; მოივონა ისინი, რომელთაც თავი დასდევს პოლონეთის დამოუკიდებლობის აღსადგენად. სპეციალური ფილმი მიეძღვნა ამ დღეს, სადაც გამოჩნდნენ სიკორსკის და ანდრესის პიროვნებები. როგორც სჩანს, პოლონეთის კომუნისტურ პარტიაში გაიმარჯვა იმ მიმართულებამ, რომელიც 1960 წლიდან იბრძვის, რათა პოლონეთი ნაკლებად იყოს დამოკიდებული მოსკოვზე. მოსკოვი სდუმს, მის პრესას ქრისტიანული კი არ აღუნიშნავს ეს მნიშვნელოვანი ფაქტი.

ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში, ახალგაზრდობა მანიფესტაციას ახდენს ქართული ენის დასაცავად, ქართ. საზოგადოება ემზადება გადაიხადოს 1500 წლისთავი „წამება წმიდა შუშანიკასი“.

უკრაინაში გამოუშევს ათი მუხლისგან შემდგარი — სამოქმედო პროგრამა, თუ როგორ უნდა დაიცეს თითეულ უკრაინელმა უკრაინის ეროვნული მეობა.

უნგრეთის კომპარტიის მდივანი კადარი, გადაჭრით მომხრეა თითეულ კ. პარტიამ მართოს საკუთარი ქვეყანა ადგილობრივი პირობების მიხედვით. ის ისე შორს მიდის, რომ დასაშვებად მიაჩნია სხვა პარტიების არსებობაც კი.

ნაციონალურ გრძნობათა გაღვივება ავიდა თავის კულ-მინაციურ მწვერვალზე, რამაც ათქმევინა ცნობილ დისიდენტ გალიშს: „კრემლს მოელის უდიდესი საშიშროება ნაციონალებიდან“.

რაც კრემლმაც კარგად იცის და ამიტომაც აძლიერებს რეპრესიულ ზომებს და რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

თებერვალში დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ერთი ცხე სულიერი სიმტკიცისა დარჩა აულბელი; მისი დაძლევა მოსკოვმა ვერ შესძლო და ვერც მომავალში შესძლებს.

### პ. სარჯაველაძე

## საქართველო და აფხაზეთი

რა მიზეზები თუ მიზეზი არ უნდა ჰქონდეს აფხაზეთში, ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებს, როგორც ამას უცხოელი კორესპონდენციები მოსკოვიდან გვატყობინებენ, გაუმართლებლად. კიდევ მეტი. საბედისწეროთ უნდა ჩაითვალოს უთანხმოების წამოჭრა ისტორიულად ირ ძმის, ქართველებსა და აფხაზებს შორის.

თუ მიღებულ ცხომებს დავეყრდნობით; აფხაზების ერთ ნაწილს, ვამბობთ ერთ ნაწილს, ვინაიდან დაუჯერებელია რომ ყველა აბხაზი ერთი აზრის იყოს ამ საკითხში, — სურდეს აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორება და ფედერაციაში შეყვანა, ქართული ენის აფხაზეთიდან განდევნა,

•

უდაოა, აფხაზების ამ ერთი ნაწილის სურვილ ანგარიში უნდა გაეწიოს; აფხაზური უნივერსიტეტის გახსნა უკვე დადგენილია, აფხაზური ტელესედენის შექმნა უკვე განხორციელებულია, და როგორც წარსულ საუკუნეებში, ქართველი ხალხი, მის მოძმე აფხაზებთან ერთად, ყოველთვის მტკიცედ დაიცავს თავის მიწა-წყალს.

გავიხსენოთ ჩვენი ისტორიული წარსული და შეიძლება ამან გავიწიოს დახმარება ღრმად ჩაუტარდეთ არსებულ მდგომარეობას და არ აყვევთ გრძნობებს:

„ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც გამოცემულია თბილისში 1955 წელს, მაგალითად ვკითხულობთ: „აფხაზები ანუ აბაზები, შეადგენდნენ ქართებთან, მეგრელებთან, სვანებთან და აფსილებთან ერთად, ერთ ქართველთა ტომს, — აფხაზი ერისთავის მეთაურობით მათ ძირს დასცეს ბიზანტიის ბატონობა და გამოაცხადეს დასავლეთ საქართველოს აახელმწიფოს დამოუკიდებლობა... ახალმა დასავლეთ საქართველოს სამეფომ მიიღო აფხაზეთის სამეფოს სახელი ბერძნულ-რომაული „აბაზგ და „აბაზგია“ სამუღამოდ განდევნილ იქნა ქართული „აბხაზით“ და „აფხაზეთით“.

ამგვარად, წერს, მაგალითად მინდია ლაშაური თავის წიგნში: „ქართველი ერის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ შედავება“-ში, რომელიც 1960 წელს დაიბეჭდა მიუნხენში, — „ლეონ მე-2-მ, გაანთავისუფლა მთელი დასავლეთი საქართველო აბხაზეთან ერთად, უცხოელ ანუ ბიზანტიელ დამპყრობლებისაგან. აფხაზეთის სატახტო ქალაქად გამოაცხადა ქუთაისი, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი დასავლეთი საქართველოსი. მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, ქართული ენა აფხაზეთში თანდათანობით დევნის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზიდან ბერძნულ ენას, რომელიც დასავლეთ საქართველოში წარმოადგენდა მთავარ /სახელმწიფო ენას“.

წიგნში — „სსრკ-ის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც გამოცემულია მოსკოვში 1958 წელს, — 523 გვერდზე ვკითხულობთ: „მე-9 საუკუნეში, ქართული ენა ხდება ერთადერთ ენად ლიტერატურაში, სახელმწიფო მართველობაში, სამოქალაქო ურთიერთობაში, ეკლესიაში არა მხოლოდ ქართლში, არამედ ტაო-კლარჯეთში, ეგრისში, აფხაზეთსა და ერეთში“.

ლეონ მე-2-ეს შესახებ კი, ამჟე წიგნის 519 გვერდზე ვკითხულობთ: „ლეონმა გარეკა აფხაზეთიდან ბერძნები — ბიზანტიელები; თავისი თავი გამოაცხადა მეფედ და სატახტო ქალაქად აქცია ქუთაისი... გაერთიანებისათვის გადადგმული ნაბიჯი ისე შორს წავიდა, რომ აფხაზეთის სამეფოში, არგვეთისა და ქუთაისის ოლქები, რაჭა, და გურია სავსებით გახდა ქართული. ლეონ მეორისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა ყოველთვის იყო საერთო ქართული. აფხაზი მეფეები მთელი თავიანთი ენერგიით და ძალონით ახორციელებდნენ და ნერგავდნენ თავიანთ სამშობლოში ქართულ ენას. როგორც ადმინისტრაციულ ისე საექლესიო სფეროში, ხელს უწყობდნენ ქართული მიწების გაერთიანებას...“

იმავე წიგნის იმავე 523 გვ. შემდეგს ვკითხულობთ: „აღრეფეოდალური ეპოქის დასასრულს, ქართველი ტომების გაერთიანება უკვე მთავრდებოდა“.

წინანდელი გაგება „ქართლი“ უკვე გასცილდა მის ეთნიკურ საზღვრებს და მისი ახალი გაგება მოგვცა. ახალი გაგებით „ქართველი“ უკვე ნიშნავდა არა მარტო ქართლელებს, არამედ კახებს, მესხებს, ეგერებს ანუ მეგრელებს, სეანებს, აფხაზებსა და დვალებს. ამ ახარი გაგებიდან წარმოიშვა ქვეყნის სახელწოდებაც „საქართველო“ ანუ ქვეყანა ქართველთა. დროთა განმავლობაში, აფხაზეთის სამეფო შევიდა სრულიად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში და ქართველთა მეფეები ამიერიდან იწოდებოდნ — „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. ამის შედეგად მეზობელი ქვეყნები, ხშირად, საქართველოს აფხაზეთს უწოდებდნ — როგორც მაგალითად, მე-12 საჟუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსი ნიზამი განჯევი, რომელსაც თავის ნაშრომებში აფხაზეთად წარმოდგენილი აქვს საქართველო.

„ისტორიულად და კულტურულად აფხაზები ყოველთვის დაკავშირებული იყვნენ საქართველოსთან, და გეოგრაფიულად და ისტორიულად ისინი ეკუთვნიან ქართველებს, ხოლო როგორც ფიზიკური ტიპი აფხაზი ძლიერ ჩამოგავს დასავლეთელ ქართველს“. — ასეა ნათქვამი „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიის მე-13 ტომის 39-ე გვერდზე. (მოკლე 1953 წელი).

აფხაზი მეცნიერი პეტრე ჭარაია — უკრნალ „ივერაში“, 1888 წელს, № 165 — 186-ში სხვათა შორის წერდა: „პოლიტიკური ისტორია აფხაზებისა მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ ტერმინის ფართე მნიშვნელობით აღმოჩნდა ახალი ქართული სახელმწიფო. და დღესაც აფხაზეთი მოფენილია ქართული ეკლესიების ნაწერევებით, სადაც შემონახულია ქართული წარწერები“.

აფხაზი ცნობილი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი გულია კი ასე უმღერის აფხაზეთს:

„მშობლიური აფხაზეთი,  
 მისი მიწა, მთები თეთრი.  
 მზიანია და ლამაზი,  
 ცა ნაზი ოქროს თასი!  
 აფხაზეთის სამისახლო,  
 ჰე, საჩქაროდ უნდა ნახო  
 სულ პატარა კუთხე, წყნარი,  
 საქართველოს ტურთა მხარის“.

კ. ინასარიძე.

### მოღა უშავის მართვილობა

ქართული კულტურის ისტორიაში, მოთხრობა „წამებაი წმიდისა შუშანიკის დედოფლისათ“, იაკობა ხუცესის, (ცუტრაველის) მიერ, 15 საუკუნის წინ დაწერილი — უნიკალური ნაწარმოებია, უკვდავი ქმნილებაა ხელისწელ საგომანები, როგორც ძეგლი მეოთხე საუკუნის ქართული მწერლობისა.

იაკობ ხუცესმა დაუპირისპირა ერთი-მეორეს სიკეთე და ბოროტება. პირველის, — სიკეთის, წარმომადგენელია დედოფალი შუშანიკი, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული, წმინდა საზოგადოებრივი მორალის მატარებელი; ჩრდინის სიმტკიცის განსახიერება. მეორეა — მასი მეუღლე ვექსენი, — ქვეყნის და რჯულის მოღალატე, შახის კარებზე მუცლით მხოხავი, განცხრომილი ცხოვრების მაძიებელი. მაშინდელი ჩვენი ქვეყნის მესვეურნი ქრისტიანობაში ხედავდნენ ეროვნული ჩამოყალიბების მამოძრავებელ ფაქტორს.

ავტორმა მძაფრად გამოავლინა ქართველი ქალის ხა-სიათის ძლიერი სიმტკიცე და ურყევი, ნებისყოფა.

ქრისტიანობამ გადავირჩინა ენა, კარგი ზნეჩეულებები და ტრადიციები; მისთვის მსხვერპლის გაღება ნიშნავ-

და სამშობლოს დიდ სამსახურს. არაერთჯერ, ბარბაროს-თა შემოტევას უმკლავდებოდა ჯვარი ქრისტესი, რომლი-თაც მოძღვარნი წინ მიუძღვდნენ სალაშქროდ გასულ ჯარს...

და აი, აღივსო ბოლმით დედოფლის გული, როცა მან გაიგო თავისი მეულლის საქციელი: წარმართობის მიღება და ქრისტეს რჯულის ღალატი. კიდევ მეტი, როცა მან შეიტყო, რომ ვექსენმა დაპირდა შახს ცოლისა და შვი-ლების მოქცევაც. გაიჭრა დედოფალი სახლიდან. შინ ღაბ-რუნებულმა ვექსენმა მუდარით დედოფალი სახლში და აბრუნა პურიბას ღასტრებოდა, მაგრამ დედოფალი ვექ-სენს კი არ შერიგებია; იგი იჯდა სუფრასთან, საჭმელს არ იკარებდა. როცა სამელი მიაწოდეს მან ხელი აუქნია, ღვი-ნო დაიღვარა საშმისი გატყდა. განრისხებულმა ვექსენმა დედოფალი წააჭკია, უმოწყალოდ სცემა, შემდევ ბრძა-ნა: დედოფალი ხელფეხ შეკრული დიგელში ჩაეგდოთ.

ექვსი წელი გაატარა დედოფალმა საშინელ ტანკვა-წა-მებაში.

შუშანიკა იმიტომ დაბრუნდა ოჯახში, რომ დაემტკი-ცება მოლალატე მეულლისათვის, შახისათვის და ხალხი-სათვის თავისი შეურიგებლობა, გაუტეხლობა, გმირობა, ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა.

ტყვეობაშიმყოფ დედოფლის მესაიდუმლე ყოფილა ია-კობ ხუცესი, რომელიც სიკვდილის წინ შესძახებს დედო-ფალს: „მხნედ იყავ და სულგრძელი! მტკიცედ სდეგ!“ ამით იაკობ ხუცესი ამხნევებს არა მარტო შუშანიკს არა-მედ მთელ ქართველ ხალხს, რომლის სახელმწიფო სარწ-წმუნეობას ემუქრება სასანიანთა გვარეულობა.

ქართველი მკვლვარნი სამართლიანად ამტკიცებენ, რომ პირველ მოთხრობად აღიარებული „შუშანიკის წამება“ ის ფესვებია, უფრო დროთა გარდასულ საუკუნეებიდან რომ მომდინარეობს, — ეს უჭიქნობი ფესვები ასაზრდო-ებს ქართულ ბრწყინვალე კულტურის აღმავლობას, მის უკვდავებას..

## მაინც მოვიდნენ ბიჭიგი!

გაცოცხლდა მიწა ქრონული  
 მათგან ფეხდანაბიჯები,  
 სიკედილს შეპირდნენ და მაინც,  
 მაინც მოვიდნენ ბიჭები.  
 ავი შრიალი მოისმა,  
 მოზარე დედის თმებისა.  
 იქნებ ფუჭი არ ყოფილა  
 დიდგორში ჩაყრა ძვლებისა;  
 სისხლი დემეტრეს, თევდორეს,  
 ახალციხელი ძმებისა.  
 და როცა ზღვარი ცოცხალი  
 გოლგოთას მთაზე შეკავდა,  
 რუსი ჯალათი, მოსკოვში  
 მთავარ ჯალათთან რეკავდა.  
 გადაგვარჩინა ღმერთმა და  
 თავის განწირვამ ათასთა.  
 ყოველი წუთი იქ დგომის,  
 ძვირად, — რა ძვირად დაფასდა.  
 კურთხეულ იყოს შვილების  
 წინაპრის კვალზე დადგომა! —  
 იქნებ ელიჩისოს ლუხუმსა  
 ლაშარის გორზე ჩადგომა.  
 ცეცხლის დუღაბად დარჩება,  
 მათგან ფეხდანაბიჯები —  
 სიკედილს შეპირდნენ, და მაინც,  
 მაინც მოვიდნენ ბეჭები!

ეს ლექსი დაწერილია თბილისში, ქერთული ენის დაც-  
 ვის დემონსტრაციის გამო. ჩვენთვის ავტორი უცნობია.

## რუსული ნაციონალიზმი

თუ ჩვინი მიზანია, ნაციონალიზმის არსი, ბუნება და მი-  
 ღრეკილება საბჭოთა კავშირის ფარგლების სინამდვილეში  
 ვეძიოთ, მისი ფესვები, აღმოცენა და განვითარება აქსა-  
 ხოთ, ჩვენთვის საჭირო ხდება, შესაძლებლობის ფარგ-  
 ლებში, აღვნიშნოთ რუსი ხალხის ეროვნული თეისებები

1930 წელს, მარტის „რუსული სლოვოში“, ცნობილი  
 პეტრე სტრუე წერდა: „ამჟამად, ჩვენი სამშობლოს ბე-  
 დი წარმოადგენს ისეთ სურათს, სადაც მცირე ჯგუფი  
 კომუნისტებისა იჩენს უდიდეს ნებისყოფას, ძალა-უფ-  
 ლების შენარჩუნებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, რუსის  
 ხალხი, რომელიც კომუნისტების ულელ ქვეშ გმინავს  
 შეუპყრია სიძაბუნეს, უმოქმედობას და აზავითარ ნების-  
 ყოფას არ იჩენს ტირანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამი-  
 ტომ ჩვენი ამოცანაა, ხალხის დიდი უმეტესობის პასიონა  
 მოვიყვანოთ მოძრაობაში“ და სხვ.

მასზე უფრო აღრე, ისტორიის კლუჩევსკის კარგად  
 ჰქონდა შესწავლილი, რომ რუსის ხალხს ყოველთვის  
 კარგად ეხერხებოდა მორჩილება, თავის თავის მსვერბ-  
 ლად მიტანა, მძიმე ვალდებულებათა ზიდვა, ვიდრე საქმე-  
 ში ინიციატივის გამოჩენა და ბრძოლაო. — „ველიკორო-  
 სული ტომი, — ამბობდა კლუჩევსკი, — რომელმაც შექ-  
 მნა მოსკოვის სახელმწიფო, წარმოადგენს არა მარტო  
 ერთგვარ ეთნოგრაფიულ სახეს, არამედ ერთნაირ ეკონო-  
 მიურ წყობასთან ერთად, აგრეთვე ნაციონალურ ხასიათ-  
 საც“.

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ნოლდე „(მონდ სლავ“)  
 ამბობს: „ველიკოროსი უყურებდა სახელმწიფოს არა რო-  
 გორც საკუთარ სახლს, სადაც ის არის ბატონ-პატიონი,  
 არამედ როგორც დგმური, რომელიც სტოვებს ბინას მა-  
 შინვე, როგორც კი მას არ მოსწონს, ან ბინა, ან მასში  
 არსებული წესრიგი. მოსკოვის სახელმწიფოს ქვეშევრ-  
 დომებმა ბოლომდის ვერ შეითვისეს ის აზრი, რომ სა-  
 ხელმწიფო მისია და შეიძლება აჯანყება და ბინის უკე-

თესად მოწყობა, და სახლში უკეთესი წყობილების შემო-  
 ლება; ამის მაგიერ სტოვებდა ის მას და იწყებდა ხეტიალს,  
 ახალი თავშესაფარის ძებნას“.

ბოლშევეციურ ხანაში უფრო ცხოვლად გამოჩნდა, ვი-  
 ნებ იმპერატორის დროს, რომელსაც ფართო მასები დაბ-  
 მული ყავდა, ხოლო მოსკოვურ სახეზე ევროპის ფერ-  
 უმარული ჰქონდათ წაცხებული. რევოლუციამ ხალხი  
 აუშვა, სახელმწიფოს, ევროპის ფერ-უმარული ჩამორჩე-  
 ბა და ჩვენს წინაშე ნამდვილი მოსკოვური სახე გადაიშა-  
 ლა, — თებერვლის რევოლუციაში, მასებმა გამოცდა ვერ  
 დაიჭირეს; რუსეთის გამოჩნილი პირები მას თითქოს ბო-  
 ლიშს ხდიან. მაგ. ესერების ბელადი ჩერნოვი ცდილობ-  
 და დაემტეიცებია რომ ბოლშევიკების წინაპრები დასავ-  
 ლეთ ევროპაში იმყოფებოდნენ და მათი გენეოლოგია იქი-  
 დან გამომდინარებსო. რუსების ს. დ. პარტიის ლიდერი  
 მარტოვი, ბოლშევიკების განვითარების მიზეზად ასახე-  
 ლებდა, მსოფლიო ომს; კერძოს რუსეთის ტრადიციას  
 ხსნიდა იმით, რომ ლენინს ფული ლუდენდორფმა მისცა  
 და დაპლომბილ გაგონით რუსეთში გამოისტუმრაო. ამ  
 ლიდერებს არ ეყოთ არც გამბედაობა, ან ვერ მიხვდნენ,  
 რომ საჭირო იყო პირველ დღესვე ომის შეწყვეტა და  
 გლეხებისათვის მიწების გადაცემა. ყველა ისნი შეპყ-  
 რობილნი იყვნენ ილუზიებით, რომ ბოლშევიკები ადრე  
 გადმოვარდებოდნენ. მხოლოდ ირაკლი ჭერეთელმა უწი-  
 ნასწარმეტყველა ყველას; ბოლშევიკების კარებიდან სა-  
 შინელი რეაცია მოდიოდა; ისტორიის წინაშე მხოლოდ  
 ის გამოვიდა პირნათლად...

რუსის ლიდერებმა რუსეთის ხალხის ისტორია დაი-  
 ვიწყეს, რუსეთის მოვლენათა ახსნა ევროპაში ეძიეს, ამა-  
 ზე იტყვიან: კაცმა მამის სული დაივიწყა და მამინაცვლი-  
 სას იფიცებდაო.

კერძოდ თებერვლის რევოლუციას და ბოლშევიზმის  
 ისტორიას მე აქ არ ვეხები; ვისაც სურს წაიკითხოს ნ.  
 უორდანიას წიგნი: „ბოლშევიზმი“.

60 წელი გავიდა, მრავალ ისტორიულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რამაც უსათუოდ იქმნიეს გავლენა რუსის ხალხის სულიერ ვითარებაზე და მისწრაფებებზე. ვიქნებოდით მიუღვომელნი თუ ვიტყოდით, რომ რუსის ხალხმა შეინარჩუნა ის პასიურობა, რომელიც მას ახასიათებდა.

როცა გლეხობის პასიურობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოლექტივიზაციას შეეწირა მილიონებით მცხოვრებნი. მათ არ მიიღეს კოლხოზებში შერეკა, აღმართეს ბრძოლის დროშა, მაგრამ სტალინის რეპრესიული ზომებით მრავალნი დაიხოცნენ...

პარალელურად ამისა ხელისუფლებამ ხელი მიჰყო მასების რიგებიდან ხალხის ამოყვანას; გაუხსნა სკოლები და თვით მიყრუებულ სოფლებში, თუ აქნობამდე წერაკითხვის ცოდნის მიღება სანატრელი იყო, ახლა ყველა-სათვის ხელმისაწიდომი გახდა, მაგრამ რუსეთის ხალხის სავალალოდ, ამუშავდა ვებერთელა მანქანა პროპაგანდისა, კომუნისტური დოგმების დასაწერგავად, ახალგაზრდობის სულიერ - ფსიხოლოგიურ სამყაროს დასაბურობად. ეს გიგანტიური ბრძოლა ათეულ წლების განმავლობაში გაგრძელდა და წარმოშვა წითელი ბიუროკრატია — სახელმწიფოს დასაყრდენი...

მიუხედავად ამისა, გამოირკეა რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანი სავსებით ვერ იქმნა მიღწეული. უკანასკნელ ომის დროს,, ორი მილიონი ახალგაზრდა დასავლეთში გამოიკვა იმ მიზნით, რომ ვარედან შესძლებოდა რეუიმის ჩამოვდება. ჰიტრელის ხეპრული პოლიტიკით ეს ცდა მიუღწევილი დარჩა; ჰიტლერი შეეიდა რუსეთში როგორც დაპყრობელი ძალა; მან შეეხო რუსეთის ხალხის წმიდათა წმიდას, ნაციონალურ სულსა და გულს; მიიჩნა რუსის ხალხი, როგორც დაბალი და უვიცა ერი და იგი უნდა დამარცხებულიყო.

დაწყებული გამკლავება რუსის ხალხისა ომის შემდეგაც გაგრძელდა. უმთავრესად სოფლად. ათეული წლებია, „სულ ავი დარებია“, თითქოს ამ დიდდ იმპერიას, წინად ხორბლეულობის მსოფლიოსათვის მიმწოდებელს, დღეს

უცხოეთიდან შემოაქვს პურეულობა. მგონი ფაქტორები რომელიც ზევით მოვიყვანეთ გვიჩვენებენ, რომ რუსის ხალხის ეროვნული თვისებების ერთი ნაწილი შეიჩინა, შეიცვალა, — თავის ინტერესების დასაცავად დაირჩა. მაგრამ არ შეცვლილა ერთი დიდი ფაქტორი, ერთი დიდი თვისება, და ეს სამწუხაროდ, თვით რუსის ხალხის მომავლის საზარალოდ, და უმთავესად, შიგ მომწყვდეული მცირე ერების საუბედუროდ. ეს არის ფაქტორი ნაციონალური, რომელიც ჩრება ურყევი და ფართე მასებისათვის მისი შინაარსი შეუთვისებელი...

დავიწყოთ იქადან, რომ ომის საწარმოებლად სტალინს დასჭირდა ძველი ჩინ-ორდენების განახლება, ძველი მარშლების გაცოცხლება, პეტრე ღილაშვილის, ივანე კალიტას და სხვა შეფეხების განდიდება, მათი ისტორიული პიროვნებათა და სხვა. განახლდა სკოლებში ძველი ნაწარმოები, მაგ. „სლოვო ო პოლკე ივორე“, „ილია მურომეც“ და სხვა-რომელშიაც სლავიანების სიდიალე და გმირობა აღწერილი. ქვეყნის თავდაცვის პირობებში შეუძლებელი არაა პატრიოტულ გრძნობათა გაღვიძება. ომის პირობებში შექმნილ ფსიქოზმა მისცა დასაბამი, გასაჯანი ძეელ ველიკოდერუავულ მისწრაფებას, მას შემდეგ იგი იზრდება და ვითარდება. კომუნისტური ხელისუფლების რწმუნებით რუსული კულტურა ამდიდრებს სხვა ერის კულტურას, რაღანაც იგი ყველაზე უფრო ჰუმანისტური ყოფილა; ამას ამოიკითხავთ ყველა გამოცემებში, დიდ მოხსენებებში. ნაციონალიზმი ყველა ერშია, ეს ერის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ რუსული ნაციონალიზმი არის აგრესიული, იგი არის იმპერიალისტური, სადაც კი შედის მას შეაქვს თავისი დოქტრინა, თავისი ფილოსოფიური, დოგმატიური ფილოსოფია. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იგი არ კმაყოფილდება პოლიტიკურ-ეკონომიკური მიღწევებით, მისი ცდაა დაიმორჩილოს და გარდაქმნას აღამიანის სულ.

დასაცავეთის ცივილიზებული ქვეყნებიც ავრცელებენ თავიანთ ნაციონალურ კულტურას, თავის მიღწევებს, მაგ-

რამ ის მას არავის თავზე არ ახვევს, არ გამოდის ძალით მაცხონეელთა როლში. კრემლი კი ყველა ერთა შორის, რუსის ერს სთვლის წარჩინებულ და საზოგადოებრივ ცხოვრების წამყვან ერად; „რუსის მუზა“ ყველაზე მაღალ ხარისხოვანია და შექების ღირსი, — ასეთად იქმნა ის დახასიათებული თბილისში მოწყობილ ყრილობაზე. ეს აპოთეოზი უდრის რუსულ შოეინიზმს.

ერთი დიდი რუსი ლიბერალი და დემოკრატი წარსულში, მილუქოვი ამჯობინებდა: რუსეთი დარჩნილიყო სულში, იყო მილუქოვი ამჯობინებდა: რუსეთი დარჩეს უსაშინელეს დაქტატურის ხელში, ვიდრე მისი სხეული სხვადასხვა ნაწილებად იქნეს დაყოფილი“-ო. დღეს ამას, გაასწრო კრემლმა, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს ბედნიერ და თანასწორუფლებიან ერებად სთვლის, ამაზე მეტი დაცინვა შეუძლებელია.

მაშასადამე ჩვენ ვხედავთ, თუ რუსის ხალხის უმეტესობა დღეს სოციალურად და პოლიტიკურად გამოლვიდებულია. შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს მონობიდგან თავი დააღწიოს, მეორეს მხრივ, ის არა თუ გაურკველია ნაციონალურად, ის ხდება მონაწილე ამ საბჭოთა პატრიოტიზმის მონა მორჩილი, ჩარალი მილიტარიზმის, რომელიც განდიდების და სხვისი დამორჩილების მისწრაფებებით ბრმად საზრდოობს.

ბუნებრივია, რომ რუსის ახალთაობებში, უმთავრესად მის მოწინავე ნაწილში ლრმად იღვიძებს მაგალითად სასაკლესით განძეულობის საჭიროება, ის ხედავს, რომ მისი პირადობის მოწმობიდან ამოგდებულია მისი ეროვნული ვინაობა — რუსი, და ოღნიშნულია საბჭოელი. შეურაცხყოფილი, იგი ხარბად ეწაფება ისტორიულ წარსულის შეფასებას. ამაში არაფერია, ვიმეორებთ, არა ნორმალური, მაგრამ დიქტატურა დაძაბული ყურადღებით თვალყურს ადევნებს ამ სულიერ მიღრეკილებას. ამისათვის მას ჰყავს დახელოვნებული სოციოლოგები. ხელისუფლებაც ცდილობს ახალთაობათა ეს მისწრაფება /ჩაყენოს კომუნისტურ ჩარჩოებში, და თუ ამის საჭიროება იქნება, როგორც

უკანასკნელ ომის ხანაში, გამოიყენოს თავის მიზნებისათვის.

ადამიანის უფლებათა მედგარი დამცველის, სახაროვის მარჯვენა ხელი ცნობილი მათემატიკოსი და დისიდენტი შევარევიჩი ღრმა კმაყოფილებას გაისთვეამს, რომ ბოლშევიზმის პირველი წლების ველურად მოპყრობა საეკლესიო განძეულობისადმი დღეს შეცვლილია. ახალგაზრდობა, უმთავრესად სტუდენტობა, მიერდნილ კუთხეებში ეკლესია- მონასტრის შენახვით, მთდამი ფაქიზმი მოპყრობით შეპყრობილია. ამ რუსულ პატრიოტიზმს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა პატრიოტიზმთან.

რასაკვირველია, რუსის ერი ისევე მოწოდებულია იყვეს პატრიოტული, როგორც სხვა ერი.

მაგრამ ეს ახალგაზრდობა სხვა ერების წმიდათა-წმიდის მათი სულიერი კულტურის დამცველიც უნდა იყვეს, სინამდვილეში კი საბჭოთა ნაციონალიზმი და რუსული ნაციონალიზმი ერთი მეორეს ავსებენ, ერთი მეორეს ენათესავება; ერთად მიღიან, ერთი მიმართულებით უმიზნებენ... ცნობილ პოლონელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ჩაფიქრების შეეკითხენ თუ პატარა ერის ნაციონალიზმი, საერთოდ, არის აგრესიული? — პატარა ერის ნაციონალიზმიდან გამორიცხულია სხვა ერისადმი სიძულვილი, იგი არა აგრესიული, უპასუხა მან. პატარა ერის ნაციონალიზმი დამცველია საკუთარი სახეობის, და მიწა-წყლის. ხშირად იგი გადამდებიც არის იმ გაბატონებულ პილიტიკურ ძალებზე, რომლის ძარღვებში, ადრე თუ გვიან, იფეთქებს მამა-პაპური სისხლი; არა ერთი მაჩვენებელი გვიმტკიცებენ საუკუნეებიდან ბოძებულ ნაციონალურ ფესვების ნელ-ნელა ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებას, გაშლას და გაბრწყინებასო.

კითხვაზე: აძლევს თუ არა პოლონელი ხალხი რაიმე განსხვავებას საბჭოელსა და რუსს შორის? მან უპასუხა: „საბჭოელის სახელით შემოღის რუსი, ის არაეითარ გაჩევას არ აძლევს რა ღროშით, რა ეტიკეტით და ეს სახელ-

წოდება მიწეპებულია მოსკოვის მიერ. ჩეხოსლოვაკელმა დაინახა, რომ შემოიჭრა რუსის ჯარი, ასეთივე შეხედულებისა უნგრელი, პოლონელი, კავკასიის თუ ზალტიის ერები. მაშასადამე უდავოა, რომ საბჭოელი თუ რუსი ერთი მეორეს გზა და ხიდია. ნაციონალიზმი მოსკოვის ხელში გახდა დასაბამი იარღი შიგნით, საგარეოდ წითელი იმპერიალიზმის სინონიმი. . .

რუს ანტიკომუნისტურ ბანაქში აზრთა აღრევაა; ზოგიერთ მნიშვნელოვან რუს მოაზროვნეს შეუძლებლად მიაჩნია სტალინის, ივანე მრისხანეს ნიკოლოზ მეორეს რუსეთის ერთი და იგივეობა. ხოლო დამახასიათებელია, რომ მათ გამოიყო, რუსეთიდან ახლად გამოძევებული ახალგაზრდა ისტორიკოსი ამარლიკი. ის განსხვავებას ზე-მოსხენებულ დიქტატორთა რუსეთის შორის ვერ ხედავს.

ზოგიერთთა აზრით, ახლად შობილ პანსლავებსა და იველს შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელმა ითამაზა დიდი როლი ბალკანეთის განმანთვისუფლების როლში და ამავე დროს იყო ქრისტიანობის მოძღვრების დამცველი-ო. ეს ნეოსლავიანოფილები არიან ათეისტები; მათი მეთაური ხდება ნაციონალ ბოლშევიკი, ვინმე შიმანოვი.

შორს არის ჩვენგან რუსის ხალხის გაენინვა, მაგრამ არც ისტორიულ წარსულში და არც დღეს, რუსობის მოაზროვნე ნაწილს აზრად არა მოსდის თუ რა დიდი ტრადიცია დატრიალდება რუსის ხალხის თავზე, იმ ერების მიერ, რომლებიც დღეს იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის.. რუსულ ნაციონალიზმს მართებს ფრთების შექვეცა, მის მოაზროვნე ნაწილს ღრმად ჩაფიქრება სანამ გვიანი არ არის.

პ. 6.

მზადდება დასაბაზდად და ადრე ხანში  
 გამოვა: პ. სარჯველაძის ახალ სტატიათა  
 პრეზული. წიგნი II.

## რუსი დისიდენტების დეპლარაცია

რუს დისიდენტებში შემდგარა ჯგუფი, ორ ცნობილ პიროვნების: ბუკოვსკის და ვლადიმიროვის მეთაურობით. ჯგუფმა გამოუშვა დექლარაცია, რომელსაც ხელს-აწერს 15 პიროვნება. ამ დექლარაციაში, სხვათა შორის, შემდეგია: „ჩვენ, დემოკრატიის მომხრე რუსები ვერძნობთ რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ განვსაზღვროთ ჩვნი პოზიცია საბჭოთა იმპერიის ხალხების მიმართ, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან, ხოლო სინამდვილეში შეყვანილნი ძალადობით თანამეგობრობაში, რომელსაც ეწოდება საბჭოთა კავშირი. ჩვენ ვაცხადებით, უყოფანოდ, ურეზერვოდ ვცნობთ: არა მატო ყოველი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას და გამოვდივართ ყოველი ხალხის ცდების წინააღმდეგ განაგოს სხვა ხალხების ბედი, არამედ ჩვენ ვალდებულადაც ვსოდეთ მხარი დაუჭიროთ ნაციონალური განახლებისა და ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის მომქმედ ყოველ მოძრაობას. ჩვენ მხარს უჭიროთ ყველა ნაც. უმცირესობას მათ ბრძოლაში, შეინარჩუნონ თავიანთი ეროვნება, ენა და რელიგია, თავიანთი კულტურა და განათლება“.

„ჩვენ, რომლებიც ხელს ვაწერთ ამ დოკუმენტს, არა ვართ მთელი რუსის ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენი მისწრაფებაა მხარი დაუჭიროთ ნაციონალურ თავისუფლებისათვის ბრძოლას, ჩაც გამომდინარეობს, როგორც თვითეული პირადი რწმენისაგან, აგრეთვე შექმნილ პრაქტიკიდანაც ჩვენს სამშობლოში,, და სხვ.

**რედაქტორისაგან:** — კმაყოფილებას გამოისთვეა მთ ბუკოვსკისა და მისი მეგობრების მიერ გაკეთებულ დაკლარაციის გამო. ვიმედოვნებთ ისინი შესძლებენ შექმნან რუსობაში საზოგადოებრივი აზრი, საბჭოთა ფარგლებში ძალით მოქმედულ ერთა გასანთავისუფლებლად, რაც მოითხოვს დაუზოგველ ენერგიას და იმის რწმენას, რომ ამას მოითხოვს თვით რუსი ხელხის ინტერესებიც.

მოვიგონოთ ჩვენი ძვირფასი ლოზუნგი: „ოქვენი და ჩვენი თავისუფლება!“

## თავისუფლების ფონდი

პოლონელ კარდინალის რომის პაპად არჩევას, აქვს ფრიად ლრმა პოლიტიკური მნიშვნელობა; მოვლენაა, რო-  
მელსაც შეუძლია მოჰკვეს დიდი შედეგები. ეს კარგად  
გაიგო დასავლეთის საზოგადოებამ და ამხრიც პრესამ მას  
მიუძღვნა ფართედ დადებითი შეფასება.

უმთავრესია მაინც, საბჭოთა ქვეყნების, განსაკუთრე-  
ბით პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება.  
პოლონეთში პაპის არჩევამ გამოიწვია უდიდესი კრაიოფი-  
ლება და ენტუზიაზმი. პოლონეთის კომპარტიის მდივან-  
მა, ახლად არჩეულ პაპს მხურვალე მილოცვა გაუგზავნა.  
მან თუ, თავის დროზე, უფლება არ მისცა პოლონეთის  
ეკლესიის მეთაურს ვიშინსკის, რომში ჩასულიყო, ახლა  
კი რამდენიმე ათას პოლონელს ნება მიეცა პაპის კურთ-  
ხევას დასწრებოდა.

ახლად არჩეული პაპი აღზრდილი ყოფილა პოლონურ  
არალეგალურ სემინარიაში და მეთაურობდა, ვიშინსკის-  
თან ერთად, პოლონელ მუშების გაფიცვებს 1960 წ.

პაპმა თავის, პირველ მიმართვაშივე აღიარა ადამიანის  
და ერის თავისუფლების აუცილებლობა.

„გააღთ კარებები! რისი გეშინიათ?“ მისგან წაძოსრო-  
ლილი ლოზუნგია. ამაში უსათუოდ ნაგულისხმევი იყო  
ის ხელისუფლებები, რომლისაგან ადამიანის და ერის თა-  
ვისუფლება შებოჭვილია. პაპის მტკიცე პოზიცია, უსა-  
თუოდ გაამაგრებს სარწმუნოებისათვის და თავისუფლე-  
ბისათვის მებრძოლთა ფრონტს.

ნუ დაგვაციტუდება, რომ ლიტვაში, 3,400,000 მცხოვრებ-  
ზე 60 პროცენტი კათოლიკეა, რომლებიც უშვებენ არა-  
ლეგალურ გამოცემას უკვ ხუთი წელია ასეთი სახელწო-  
დებით: „კათოლიკური ეკლესიის ქრონიკა“, რომ 17,000  
კათოლიკემ მიმართა პეტიციით მოსკოვის მეთაურებს,  
ეკლესიის თავისუფლების მოთხოვნით. თითეული წე-  
ლის მომწერი თავიანთ საცხოვრებელ ბინის მისამართს არ  
მაღავს და სხ.

თავის დროზე სტალინი კითხულობდათ: „რამდენი დი-  
ვიზია ჰყავს ვატიკანს?“ ასე აბუჩაძ აგდებულ ვატი-  
კანს დღეს, თავს უხრიან, მილოცვებს უგზავნიან.

რადგან დღევანდელ საერთაშორისო პირობებში, პაპის მორალურ ძალას უდიდესი რეალური ღირებულება აქვს, ახლანდელი პაპის პიროვნებით და პოზიციით ძლიერდება თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები.

— : —

## სამოგზლოს ტკიცილები და მიოცე საუკუნის დევილების ტვირთი

ქართველ ემიგრაციის წმინდა ვალია, ჩვენი საუკუნის მამიშვილური ბრძოლები დოკუმენტალურ ფაქტად დავუ-  
ტოვოთ მომავალ ქართულ ქამთა ვითარებას. მომავალ-  
მა თაობებმა, ნამდვილი საბუთებით, უნდა შეისწავლონ  
ჩვენი ბრძოლის ეპიზოდები, ნაწარმოები სალი გამჭრიახო-  
ბით ხილონ ეროვნული პრობლემები, როგორ ღირსეუ-  
ლად და თავებანწირებით ვატარეთ. ჩვენ ინსტიქტურად ვგრძნობდით, რომ სიმართლე ჩვენი წამებული ერის მხა-  
რებზე იყო.

ამ პოსტულას სიმართლისას, ჩვენი ხალხი ხშირად დაყრდ-  
ნობია და გამარჯვება მოუპოვებია მრავალ ჯერ.

რაც მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, ჩვენს ბრძო-  
ლებს არ აკლდა მსხვერპლი, არც ტანჯვა და გლოვა, ყვე-  
ლაზე მძიმე ჯვარი ქართველისათვის, უცხოეთში გათხრი.  
ლი სამარეა.

ჩვენი ერი კულტურულია, მცხოვრებლები ჰქომანიუ-  
რია, ერი ბურმარილიანი; ქართველობა არის ბუნებით  
მიმზიდველი, გვაქვს ნიადაგი ნიყიერი, ბუნება ლამაზი.  
აუხსნელი მიზეზების გამო, ეროვნული მოძრაობა ბუ-  
ნებრივ წონასწორობას ემყარება. უაღრესად რაციონა-  
ლურია, მომავალს სულგრძელობით ვუცდით. საკაცობ-  
რიო ტკიცილებს ქართველი კაცი ესარჩება; მოყვასის  
ტანჯვას განიცდის.

რუსეთის 1921 წლის დაპყრობაშ სამშობლო დაამუნჯა, ერის ჭირისუფალნი შეგნებულად გაანადგურეს, და ამრიგად, საქართველოს უფლებების დამცველი ბუნებრივად გახდა, უცხოეთში გახიზული ეროვნული მთავრობა და მასთან მცირე რიცხვი ქართველებისა. ათეული წლების განმავლობაში, ამ პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლები იყო ღირსეული, — ჭეშმარიტებაზე დაყრდნობილი, წინდახედული, უკომპრომისო და საუკუნის ყნოსეის მატარებელი. და საკვირველია, რომ მრავალი ჩვენი პოლიტიკური ანალიზები ითუ წინასწარმეტყველობა მტრებს, ისტორიის შარა-გზაზე მიეწიათ და ავიბედი მიესაჯათ.

ისტორიული ფაქტია, რომ ოქტომბრის რევოლუცია წარმოდგენილი იქმნა, როგორც სამყარო აბსოლუტური სამართლიანობისა, კიდევ მეტი, რუსეთი უნდა გამხდარიყო მაგალითი დასავლეთის მდიდარ კულტურისა.

როდესაც ოქტომბრი, გადატრიალება მოხდა, პირველად გაბეღულათ, ურეზერვოდ, ჩვენი ქვეყნის ტიტანებმა უარყვეს და შეებრძოლენ საუკუნის ბოროტებას, ამ რუსი და სხვა ერების უბედურებას. ამ ქართველების გალაშქრებას გაჩერდულება არ აკლდა, ომისაგან დალლილ ხალხის დაჯერება ადვილი არ იყო.

საქართველოს ღირსეულმა მოღვაწეებმა გაილაშქრეს სათანადო ურკევი ისტორიული საბუთებით — რომ მუშიკური რუსეთი მოკლებული იყო უნარს, რამე კულტურის მაგალითები მიეცა ცივილზაციისათვის.

პირველმა, განსვენებულმა ნოე რამიშვილმა შეიცნო რომ რეალურად, რუსეთი იმეორებდა განდიდების პოპოლიტიკას, როგორც იოანე მრისხანე, პეტრე დიდი ეკატერინე მეორე, თუ რომანვები. — ფარისევლობით, ბოროტებით აღსავს კრემლის იდეოლოგიას, განსვენებულმა ნოე უორდნიამ უწოდა მას: „პრიმიტიული რუსული დაავადებული ნილილიზმი“.

ღმერთი შოწამეა, რუსი ხალხი არ გვეჩარება და არავითარი სიბრალური და თავდადება არ დაუკლია უბედურ რუსობისათვის ქართველობას გადასახლებებში,

კულტურული ერის საზომი არის მწერლობა, რომლის გავლენა ძირითადი და საუკუნებრივია. ქართველმა გამოცდილებით იცის ეროვნული მწერლობის დამსახურების, მადლიანი ჭყუა-გონების თუ გენიოსობის ძალა.

დაპჰკრობელებმა ქართველ მწერლობას შესთავაზეს მოწამლული თემები: პარტია, ლენინი, სტალინი, კოლხოზი, რუსეთის მიწის და მისი წყობილების დაცვა, რაიკომის მდივანი და ვინ იცის რამდენი რამე. — დევნილებისათვის ადვილი არ იყო ახეთი უთანასწორო ბრძოლა, მაგრამ მშოლებლიურ მწერლობას ობლობა არ ვაგრძნობინეთ...

1939 წლის ომის მოახლოვების ყველა გრძნობდა. სტალინ- ჭირლერის კავშირი იყო იმ პოკალიპსის ნიშანი, რაც ძეირად დაუჯდა მსოფლიოს, უბედურ რუსის ხალხს და ჩვენს ქვეყანას. განსვენებულმა ევგენი გეგეშვილმა, თავის დროზე ყვალა გააფრთხილა, რომ არავითარ შემთხვევაში სტალინის რუსეთს არ ნდობოდნენ.

ჩვენ ხელმძღვანელთა ოქტომბრის რევოლუციის ანალიზები და მისი პროგნოზები თავიდანვე, ყველა გამართლებულია. ნ. ქორდანიას: „თქვენ, ზოლშევიკებო, პირა-მიდებს აშენებთ — სოციალიზმს კი ვერაო!“; სილ. ჯიბლაძე: — ბოროტების გენია, ყოველივე სიავის ჩამდენიო“ ბრძენი კარლო ჩხეიძემ კრემლის მოლვაშვინი, ერთი ხელის მოსმით ალიარა ისეთ ადამიანებად, რომლებიც: „ბოშო! ყოველ მზაკვრულს იკადრებენო.“ განსაკუთრებით, სტალინის მიმართ მათ ის თქვეს, რასაც ეხლა მსოფლიო და რუსიც იმეორებს. გვეპატიება თუ ვერ გავითვალისწინეთ მისი დავიწყება, მისი ძეგლების დანგრევა, ქალაქების გადანათვლა და ბოლოს საფლავიდან შოთხრა. ნამდვილი კრემლის ამბავი.

ჩვენ, ქართველი დევნილები არ ვქადაგობთ რუსის ხალხის სიძულვილს; ერთა შორის მტრობა არ არის ადამია-

ნური და ორც ბრძნული პოლიტიკა. მრავალტანჯულმა ქართველობამ იცის ამ სიბრძნის ურყევი ძალა, მან იცის სიძულვილს რომ სიყვარული ცვლის. ამის მაგალითებია, ამ უკანასკნელი ომის შემდეგი, ბევრი შეთანხმებები ხალუკანასკნელ ომის შემდეგ ბევრი შეთანხმები ხალხთა და ხთა და სახელმწიფოებთა შორის.

და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, — მისი თავისუფლება აუცილებლად მიგვაჩნია. ეს ჩვენი ერის რწმენაა. და ამ ჩვენი შინაგანი რწმენით და მომავალის დიდი იმედებით, ქართველი გადმოხვეწილები განვაგრძობთ ჩვენი ერისაღმი წმიდა სამსახურს.

გრიგოლ წერეთელი.

### „მისამა სვეტი“

„მკითხე და გეტყვი; რის თამარი,  
 ქართველის ცხოვრების რა ვიცი მეტი,  
 რისი ერეკლე, — საქართველოსთვის  
 დავითი არის პირველი სვეტი!

მკითხე და გეტყვი: რომელი ვაჟა,  
 ან თუნდაც შოთა, — ამაზე მეტი?!  
 რისი აკაკი, — საქართველოსთვის  
 ილია არის მეორე სვეტი!

გაღუნულია მწვანე ალვის ხე,  
 აწეწილია სამშობლოს ხედი.  
 ღმერთო გვალირსე! ღმერთო გვალირსე!  
 ღმერთო გვალირსე! მესამე სვეტი!!!

ეს ანონიმური ლექსი საქართველოდან მიიღო ერთმა პარიზელმა ქართველმა, 1978 წლის 14-ი პრილის თბილისის ხალხმრავალი დემონსტრაციების შემდეგ; დემონსტრაციისა, რომელიც ჩატარდა ქართული ენის ისევ შესტრაციისათვის საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში, რაც დაკმაყოფილებული იქნა ხელისუფლების მიერ.

უთუოდ, ყოველი ქართველი იტყვის, თუ გნებავთ, ილოცებს კიდევ: „ღმერთო გვალირსე მესამე სვეტი“ სიმ-

ბოლოურად, ვინაიდან ერთ თავის გამოსახულებას პპოვებს პიროვნებაში; ან უფრო ზუსტად, — ერთ თავის მეობის გამოსახულებას პოულობს პიროვნებებში და პიროვნებები ერში. ერთ განსაცდელშია, კიდევ მეტი, უფსკრულის პირასაა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ურთიერთ გაპონერების პროცესი ირღვევა ერსა და მის შვილებს შორის. რა თქმა უნდა, ერთ ყოველ შვილს ვერ მოვსთხოვთ და არც შეუძლია იყოს ერთს უზენაესი სინდისის, მორალის, მეობის გამომხატველი. მაგრამ თუ ერთ ვერ შობს მისი რაობის გამომხატველ პიროვნებებს, მაშინ დარღვეულია ზემოაღნიშნული ურთიერთ გაპონერების პროცესი და ამით წონასწორობა ერსა და პიროვნებათა შორის. და მიუხედავათ იმისა, ქართველი ერის ისტორია საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლებისაკენ მისწრაფების ისტორიაა, რომლის პროცესში არაერთი უბედურება დაგვატყდა თავზე, — ჩვენს ერში, შეიძლება თამამად ითქვას, არასოდეს არ ყოფილა დარღვეული ამგვარი ურთიერთ განოყიერებითი პროცესი ერსა და მის შვილებს შორის.

ამდენად ქართველმა ერმა, ქართველმა ხალხმა, საქართველომ ყოველთვის შობა მისი მეობის გამომხატველი დიდი პიროვნებები, რომლებიც თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას და სიცოცხლესაც კი სწირავდნენ ჩვენი სამშობლოს დიდებას, თავისუფლებას. შეურყევლობის ამგვარი მაგალითი მოვცა, ჩვენი ერის უახლოეს ისტორიაში, სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქმა ამბროსიმ, რომელმაც 1922 წელს, იტალიაში მიმდინარე გენუის კონფერენციას მიმართ მემორანდუმ - წერილით, რომელშიც მოითხოვდა წითელი არმის გაყვანას საქართველოდან, რის შედეგად თბილისში ის ვაასამართლეს და მისგან მოითხოვეს თავი დამნაშავეთ ეცნო, რაზედაც მისმა უწმიდესობამ უპასუხა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული საქართველოს, ხოლო ჩემს სხეულს რაც გსურთ ის უქენით!“

და განა ეს ისტორიული ფაქტი, სხვა მრავალთა შორის,

არ ამტკიცებს ჩვენში რწმენას რომ, „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლექვები მგლისანი?“

ამგვარად, საქართველო დაყრდნობილია მრავალ სეტზე, რომლებიც მტკიცე საძირკველზე აღმოცენდნენ მისი სამიათასწლოვანი სახელმწიფო ბრიტი ისტორიის მანძილზე. ეს სეტებია, სხვათა შორის: ფერნავაზი, მირიანი, წმ. ნინო, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა, ერეკლე, ილია თუ ნინო ეორდანია, რომლებშიც საქართველომ, ქართველმა ხალხმა პპოვა თავისი ეროვნული პოლიტიკურ - ეკონომიკურ - კულტურული მეობის გამოსახულება. რაც შეეხება ვედრებას: „ლმერთო გვალირსე! „ლმერთო გვალირსე! ლმერთო გვალირსე მესამე სეტი!!!“ ამგვარ „მესამე სეტს“, ლმერთი მხოლოდ იმ ერსა და იმ ქვეყანას აღირსებს, რომელიც თავის მეობის დაცვისათვის განუწყვეტლივ იღწვის! ..

კ. ინასარიძე.

### თებერვლის დღე პარიზი

ამა წლის 25 თაბარვალს, პარიზის ქართულ ექლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი საქართველოს დაპყრობის 58 წლისთავზე.

ეკლესია ვერ იტევდა მლოცველებს. ნეტა რატომ, ან რისთვის მოსულა ასე მრავლად ეკლესიაში მოხუცი თუ ახალგაზრდა მთელი თავისი ოჯახით, განურჩევლად მართულებებისა?

მოვიწენ იმიტომ, რომ შავი თებერვალი საქართველოს დაპყრობის თვეა და ამ დაპყრობის აღსანიშნავად ისე,, როგორც ყოველ წელს, პარიზის სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ვიქ ხომერიქმა და ჩვენმა მოძღვარმა დე-კანოზმა ილიამ იხმო მთელი პარიზის ქართველობა ამ დღისათვის საგანგებოდ დანიშნულ პარაკლისზე, რათა ერთხელ კიდევ დაელახვრათ ჩვენი დედა საქართველოს დამპყრობელნი, პატივი ეცათ სამშობლოს დაცვისათვის

დაღუპულ გმირთა ხსოვინსათვის და საერთოდ ყველა მათვის ვრც შეეწირა ბრძოლებს სამშობლოს განთავი-სუფლებისათვის, გააფთრებულმა მტერმა რომ შეიძყრო; არ დაზოგა არც დიდი არც პატარა, არც შორეული, არც ახლობელი მათი ნათესავები და გაუგონარი ველური წა-მებით სიცოცხლეს გამოასალმა; მათი სისხლითაა მორწყუ-ლი საქართველოს მიწა-წყაყლი და რუსეთის მინდოორ- ვე-ლები.

დაკანოზმა ილიამ პარაკლისის წინ მძგნობიარე, ღრმა ში ნაარსიანი სიტყვით მიმართა მრევლს. მოაგონა მათ თუ როგორ მუხანათურად, სრულიად უმიზეზოდ ბოლშევი-კური რუსეთი თავს დაესხა უდანაშაულო პატარა სა-ხელმწიფოს, რომელიც მან თვითონვე იცნო.

რუსეთმა კვლავ ვასტეხა მისივე მოცემული სიტყ-ვა, მოსპო საქართველო როგორც სუვერენული სახელმ-წიფო და მას დაადგა, მის მიერვე წამებულ შვილთა სის-, ხლით დაფერილი ბორკილები, მაგრამ იცოდეთ და გრწამ-დეთო, რომ საქართველო კვლავ აღსდგება თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენულიო.

ამ მოქლე სიტყვის შემდეგ მამაო ილია შეუდგა ღვთის-მსახურებას; შეაველრა ჩენი სამშობლო ქრისტე ღმერთს და შესთხოვა საქართველოს განმანათლებელ ქალწულს წმიდა ნინოს მისი ხეედრი საქართველოს მფარველობა და ყველა ბრძოლაში დაღუპულთა შენდობა.

ქართული გუნდი, ამ დღეს განსაუთრებული შთაგო-ნებით და გრძნობით გალობდა. როდესაც გუნდმა შეას-რულა „სიონში შევალ, სანთელს ავანთებ“, ყველა დამს-წრეთ ცრემლი ახრჩობდა; ისინიც თითქოს სიონში იყვ-ნენ, და მათ მშობელ ერს, მის ხალხს სულიერად ეკავ-შირდებოდნენ.

დასასრულს, როდესაც გაისმა გულგანგმირავი: „საუ-კუნო იყოს ხსენება მათი!“, მლოცველნი ჭმუნვით შეპ-ყრობილნი მუხლებზე დაეშვნენ; დაღუპულთა ხსოვნას დასტიროდნენ. გუნდმა და დამსწრეთ, ქართული ჰიმ-ნი ჩვეულებრივი მღელვარებით შეასრულა.

ქართველობა კიდევ დიდხანს დარჩა ეკლესიის წინ; ენა-ნებოდათ ერთი მეორის დაშორება. საუბრობდნენ, ივონებდნენ ჩაუვიწყარ სამშობლოს, დალუპულ ნათესავთ თუ მეგობრებს და ერთმანეთის ამბებს გებულობდნენ. რადგან პარიზში, ამ დიდ კოსმოპოლიტურ ქალაქში არც ისე აღვილია ერთმანეთის ნახვა. ძლიერ დაიშალენ.

მე კიდევ ცოტა ხნით დავრჩი ეკლესიის წინ. აღარ ის-მოდა ჩემი მშობლიური ლამაზი ენა, — პარიზის ქუჩებმა შთანთქა ჩემი ქართველები.

მეც გავეშურე შინისაკენ. შევაღე ჩემი ოთახის ქარები. დაჭრჩი მარტო, მე, ჩემი ოთახი და საქართველოს ხედების სურათები.

ოჲ, რა ძნელი ყოფილა ათეული წლებით სამშობლოს დაშორება! მაგრამ ვერ შეგვრცყობს სასოწარკვეთილება ვიცით, გვრწამს და გვჯერა: ოცდაექვსი მაისი კვლავ გამობრწყიდება თეთრი გიორგის დროშით და დათრგუნავს შავ თებერვალს.

### ჭიათურელი.

## ჩართული უნივერსიტეტის იუბილე

ქართულ უნივერსიტეტი იდლესასწაულა თავის არსებობის 60 წლისთავი.

ქართველი ერის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული უნივერსიტეტი ამაყად სდგას ქართული კულტურის, მეცნიერების დაცვის სადარაჯოზე და ცდილობის მოიგერიოს მოსკოვის დაწოლები. სამწუხარო ის არის, რომ შევარდნაძებმა ვერ შეიიავეს თავი, დღესასწაული-სათვის არ მიეცათ პოლიტიკური ელფერი; არც სიტყვებში, არც პრესაში, არსად არა მოხსენებული, რომ უნივერსიტეტი გახსნილი იქმნა ეროვნული საბჭოს სახელით აკაკი ჩხერიელის მიერ... მეგობრები ჭადმოგვცემენ, რომ მოხსენებული ყოფილიყო ნამდვილი ეითარება უნივერსი-

ტეტის დაარსებისა მოსკოვს შეიძლება არაფერი ეთქვაო.  
 რა უნდა ვითიქროთ? უსაფუძვლო შიში, თუ გადაჭარ-  
 ბებული ერთგულება, თუ სილაჩრე.

### ღიღი მზოსნის დამოუმართებელი.

ერთჯერ, დიდი ილია ნადიმშე დაუპატიჟებიათ; მას  
 იმ ნადიმშე სიტყვა წარმოუთქვამს, რომელიც შემდგომ  
 დაბეჭდილა „ივერიაში“ (1903). ერთ ადგილას ვკითხუ-  
 ლობთ: „მტერი მოდის, როგორც პატიოსანი ხმალი, —  
 ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მომპარავი;  
 იგი ლიმილით და ალერსით მოგვექცევათ და გამოგაცლით  
 ხელიდან ამ ლამაზს, ტურფის და მდიდარ ქვეყანას, იცით  
 ვინ არის ეს? — ეს ფულია“...

ჩვენ ვიცით რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩვენში იტ-  
 ყვიან „ფულის კაციო“ ის არ ყოფილა! მან დაარსა ქარ-  
 თული ბანკი; მას სურდა, უსათუოდ, ხალხის ნივთიერი  
 კეთილდღეობა, ქართული ვაჭრობა-მრეწველობა, ფუ-  
 ლის ტრიალი.. მაშ რატომ დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს  
 ფულს ამოფარებოდა? — ორი აზრი არ შეიძლება: სურ-  
 და ბრიყვ ცარისტულ მოხელეებისათვის თვალი აეწვია,  
 რაც ნადიმშე დამსწრეებმა კარგად გაიგეს.

გასულ საუკუნის მიწურულში, მცოსნის „ივერიაშ“  
 ხოტბა შეასხა რუსეთიდან სტუმრად ჩამოსულ ხელმწი-  
 ფეს. განა ეს გიდი პატრიოტის გულიდან გამოდიოდა?

პატარა ერის ძნელბედობის ხანაში მცოსნის გააზრე-  
 ბულს აქვს ისტორიული ღირებულება... ამას ერთი სა-  
 ხელი ჰქვია: სიფრთხილე და მოქნილი ტაქტიკა, რასაც  
 გამბობთ და მომავალშიც არაერთჯერ გავიმეორებთ...

პ. 6.



## ალექსანდრე ლომთათიძე

(გარდაცვალებიდან 50 წლისთავზე).

ვიკონებ ალექსანდრე ლომთათიძეს, ჩემს საყვარელ ბიძას. იგი იყო ყველასათვის საყვარელი აღამიანი, რომელიც ახალგაზრდობიდან ჩაება აღამიანის და ხალხის სამსახურში. იგი იყო თავაზიანი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, ბრძოლაში შეუძრეკი. ღარიბი ოჯახის შეილმა გზა გაიკაფა თავის ნიჭით და შრომით; დაამთავრა გიმნაზია, შემდეგ შეეიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. იქ ხელმძღვანელობდა სტუდენტთა მოძრაობას. ალექსანდრე იყო შესანიშნავი ორატორი. ს. ღ. პარტიაში იგი გახდა ერთი ბელადთაგანი. მას ირჩევენ თბილისის საბჭოს ხმონად, მერე მის თავმჯდომარედ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველ ამხანაგმა, მან კარლო ჩხეიძის უცხოეთში მივლინების შემდეგ, ამ კრების თავმჯდომარეობის პოსტზე გამოიჩინა დიდი ტაქტი, რითაც დაიმსახურა ყველას პატივისცემა.

საქართველოს დაპყრობის დღესვე აირჩია სამშობლო-ში დაარჩენა, რათა გაეზიარებია ხალხის ჭირ-ვარამი, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა ჯალათები მას არ დაინტებლნენ. მეტების ციხის შემდეგ ის გადაასახლეს ჩუვაშეთში. იქ შეშას უპობდა ერთ ადგილობრივ მცხოვრებს, რომ თავი გაეტანა. ის იქაც არ მოასვენეს, 1924 წლის აჯანყების დროს ის ციხეში ჩასვეს, ეშინოდათ არ გაგვექცეს. მისმა გულმა ციხის რევიმი ეტ აიტანა და იქვე გამოესალმა წუთისოფელს. ამნაირად ეს დიდი ქართველი აღამიანი დაიმარხა, საღლაც რუსეთის ცივ კუთხეში.

მსურს მოვიგონო: ის ბათუმიდან დაბრუნებული მოვიდა სოფელ ბახვში. მან მოისურვა რომელიმე პასუხისმგებელი პირის ნახეა, ორგანიზაციის ხელმძღვანელის. მე მივიყვანე მასთან იაკობ გარაყანიძე, მოქლე საუბრის შემდეგ მან მოინახულა ბახვის სოფლის მასწავლებლები და

გაპრუნდა. ამ დროს ბახვის კომუნისტებმა უკვე გაიგეს ალექსანდრეს გურიაში ყოფნა, გაჩხრიკეს ბევრი ოჯახები, მიადგნენ გურიის სასახელო ქართველის ოჯახს — გივო შარაშიძეს. დაიწყეს ძებნა, იხედებიან მაგიდის ქვეშ; მასპინძელი ეუბნება კომუნისტებს: „თქვენ ტყვილად ამ-კირებთ ალექსანდრე ლომთათიძეს, განა ის მაგიდის ქვეშ შეძრებოდათ.“

ჩვენ მოვაწყვეთ პატარა თაობირი, სადაც გადაწყდა, რომ გავავრცელოთ ხმა: — ალექსანდრე სამუსულმან საქართველოს გზით პირებდა ოსმალეთში გადასვლას, და მართლაც მოხსნეს დაზვერვა; ეისაჩებლეთ ამით და ალექსანდრე მივაცილეთ ნივილითის სადგურამდე, გამო-ვუცვალეთ ტანისამოსი და ღიდის სიფრთხილით ჩავს-ვით მატარებელში. შემდეგ მე თვითონ ვინახულე თბილის-ში. ერთი სასათი მქონდა მასთან საუბარი, ამის მერე ის დიდ ხანს არ დარჩენილა თავისუფალი, ჩეკამ მიაგნო მის ბინას, — ჩასვეს ციხეში.

ციხის ადმინისტრაცია მაშინ ჩვენს მეთაურებს ლმო-ბიერად ეპყრობოდა. ალექსანდრე მის მეულლესთან ერ-თად ვინახულე ციხეში. ეს იყო მასთან უკანასკნელი შეხ-ვედრა. მინდა გავიხსენო კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ჩვენს თანამემამულებს ასახლებდენ მეტების ციხიდან, ალექსანდრემ თავის ბოხი ხმით გადასძახა ციხის გარშე-მო თავმოყრილ ქართველობას: „გვტაცებენ ჩვენს ძმებს და შვილებს! იყავით ყოჩალად!“ და სხვ.

დღეს მისი ძვლები ჩაყრილია სადღაც ჩუვაშეთის ცივ მიწაში. დატანჯულის, განაწამების, ღიდ ქართველის ალექსანდრე ლომთათიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველი ერის გულში!

ილ. სალუქვაძე.

---

† 600 ციხესიმის გარდაცვალების გამო ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო თანაგძნობის წერი-ლები: ბ-ნ გ. ნაკაშიძის; ამერიკიდან. და ის. ვაჟონიადან.

---

## ზოგადი ნინაობა და შობის ხე კარიჭაში

ამა წლის 14 იანვარს, შეედების ეკლესიაში გაიმართა ღლესასწაული. წმიდა ნინოს ღლეობა და შობის ხე ბავშვებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული სათვისტომოს გმგეობა და მამაო ილია.

ღლესასწაულს დაესწრო მრავალრიცხვიანი ქართული საზოგადოება. მამაო ილიამ და სათვისტომოს თავმჯდომარეობა ბ-ნამ ვ. ხომერიქმა შესაფერი სიტყვებით მიმართეს დამსწრეთ.

ქართულ ტანსაცმელში კოხტად მორთულმა ქართველ ბავმვებმა დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება ქართული ცეკვა-სიმღერებით. მცირეწლოვანთ დაურიგდა ძვირფასი საჩქერები,

როგორც ვიცით, ჩვენს დედაქალაში გამართეს მანიფესტაციები ქართული ენის დასაცავად, რის „შესახებ დაწერილი ყოფილა ლექსი: „მაინც მოვიდნენ ბიჭები“, უცნობი აკტორისაგან დაწერილი და გამოვზავნილი ეს ლექსი, წაკითხულ იქმნა მის. გოგიტიძის მიერ. მანვე წაიკითხა მის ვიერვე ფრანგული ნათარგმნი ლექსისა, რამაც გამოიწვია დიდი აღფრთოვანება. ამავე ნომერში ვაქვეყნებთ: „მაინც მოვიდნენ ბიჭები!“

მამაო ილიამ, მხურვალე მადლობა გადაუხადა შეეღლებს დახმარებებისათვის, რაზედაც შეედელთა პასტორმა გამოსოქვა დიდი კმაყოფილება, რომ ქართული საზოგადოება განაგრძობს წმ. ნინოს ღლესასწაულს, რომლის გამართვით ის ემსახურება ქართველი ერის სარწმუნოებას და ჩვენი დახმარებაც ამ საქმეში ბუნებრივია.

არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ აღვნიშნოთ ქართველობის გარდაუვალი სურვილი და დაუზოგველი ენერგია ეროვნულ საქმის სამსახურში...

## ცნობა სამშობლოდან

1976 წლის განმავლობაში, საქართველოში აღგილი ჰქონდა, შემდეგ ანტი მოსკოვურ დივერსიებს, შენობების დაწვას და სხ.

მაგალითად: ტეხნიკური მომარაგების კომბინატის დიდი შენობის დაწვა.

კიროვის სახელობის ქარხანა.

„კინოს სახლი“ რუსთაველის პროსპექტზე.

ცეცხლი კინო-თეატრ „ამირანში“. პლეხანოვის ქ-ზე საბავშო უნივერსალური მაღაზია, ლენინის სახელობის, მე-25-ე პარტ. ყრილობის გახსნის დროს.

ზესტაფონის ყოველდღიურ მოთხოვნილების მაღაზია.

აფთიაქის და ფოსტის შენობა, ცხაკის რაიონი.

მორჯომში, უნივერსალური მაღაზიის შენობა.

მაკვანეთში, — მახარაძის რაიონი. ხილუელობის დიდი მაღაზია.

ბოლნისში ცეკვაშირის ბინა.

მახარაძეში, — ჩაის ქარხანა.

16 აპრილს, მინისტრთა საბჭოს შენობასთან გასკდა ბომბა. დაიწვა მთავრობის შენობა.

ხე-ტყის ქარხნის შენობა თბილისში.

ბრმათა და ყრუთა კომბინატის შენობა.

1979 იანვარში, უცნობ პირებმა მოახდინეს თავდასხმა თბილისის სამხედრო ავიაციის ქარხანაზე. — მოიპარეს სამხედრო თვითმფრინავი. წაიღეს სამხედრო იარაღი.

საგარეჯოს რაიონში მოახდინეს თავდასხმა არსენალზე. წაიღეს მრავალი იარაღი.

თბილისში, დიმიტროვის სახელობის სამხედრო ავიაციაზე მოხდა თავდასხმა.

ყველა ცნობები მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან.

ვაქვეყნებთ რა ზემომოხსენებულ ცნობებს, ჩვენ ვიმეორებთ ჩვენს გამოთქმულ აზრს. (იხ. „ჩ. ღრ. № 89), რომ თუ ისინი გამოხატავენ ეროვნულ - განმანთველისუფლებელი ბრძოლის მეთოდს, ჩვენ ასეთი ზომები მიგვაჩნია დაუშებლად.

მც. თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება სამშობლოში.

დიდის კმაყოფილებით ვაუწყებთ მყითხველთ, რომ სამშობლოში გადმოუსვენებიათ ცნობილი ისტორიკოსის, მეცნიერის და მკვლევარის მიხეილ თამარაშვილის ნეშტი. სამოცდაშვიდი წლის შემდეგ ელიტს ღირსეულ მამულიშვილს მშობლიურ მიწას მიპარებოდა.

### ობოლაძის სიმხეცე.

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა წიგნი მიხეილ დავითაშვილის, ამ სახელშიცემით: „რეპორტაჟი საქართველოდან“. ამ წიგნში, ერთ ადგილის აღნიშნულია, რომ 1924 წელს, მენშევიკების ავანტურისტული გამოსკლების დროს დაიღუპა საშა ობოლაძეო.

ტყუილა! ობოლაძე გამოგზავნილ იქნა გურიაში დამსჯელი რაზმით გურიის დასასჯელად. მან ცეცხლში შეაგდო მცირეწლოვანი ბავშვი მანწკავა და დასწვა; ეს ველარ აიტანეს გურულებმა, ჩაუსაფრდნენ ობოლაძეს და მოჰკელეს. ის დღეს, თბილისში ალექსანდროვის ბაღში ყოფილა დამარტინი და გმირად გამოცხადებული...

თავითაშვილის რეპორტაჟი ასეთი ტყუილებით არის სავსე. ნუ თუ „მწერალი“ დავითაშვილი ირიცხება მწერალთა კავშირის წევრად?

პასუხს ცერავინ მოგვცემს, ისტორია კი გასჯის ობოლაძის სიმხეცეს...

### სასაჩრდებლო ნაწარმოები.

ფრანგულ ენაზე გამოვიდა, უდროოდ დალუბულ გიორგი ზურაბიშვილის ასულის ელენე კარერ დე ანკოსის შესანიშნავი შრომა, რომელშიც გარჩეულია, უმთავრესად, ნაციონალური პრობლემა საბჭოთა კავშირში. ჩვენს მკითხველს ვურჩევთ მის შეძენას და წაკითხვას.

ამ შრომამ მიიღო პრემია, რის გამო ჩვენმა რედაქტიაზ მას გაუგზავნა მილოცვა და უსურვა კელავ წარმატებანი.

წიგნს ეწოდება: „ლემპირ ეკლატე“... — მისი შეძენა შეიძლება ყველა წიგნის მაღაზიაში.

ს. დ. პარტიაშვილი.

### ს ა უ რ ა დ ლ ე ბ ი თ !

საქართველოს სოც. - დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო და პარტიის კომიტეტი აცხადებენ, რომ არავითარი დაღვენილება მათ არ მიუღიათ, ტრადიკულად დალუპულ, კლასიმერ უკანიას წლისთავის პანაშეიღწევა დასწრება თუ არ დასწრების შესახებ. ყველას ჰქონდა სრული უფლება მოქმედულიყო ისე როგორც მას სურდა. კარგს იჩიმდა „თავისუფლების ტრიბუნა“ მიეღო სწორი ინფორმაცია, სანამ მკითხველს მიაწოდებდა სწორ ცნობას.

საერთოდ, ჩვენი პოზიცია საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ გარკვეულია „ჩვენი დროშას“ № 89.

შესდგა პარტიის ს. დ. პარტიის, პარტიის ორგანიზაციის კრება ამხ. ვ. ჩუბინიძის თაემჯდომარეობით, სადაც პ. სარჯველაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ს. დ. პარტიის მიმღინარე ტაქტიკა“.

მომხსენებელი მოქლედ შეეხო შორეულ აღმოსავლეთ ში მომხდარ ამბების მნიშვნელობას, რის შემდეგ გადა- ვიდა საბჭოთა კავშირში წარმოშობილ, ე. წ. დისიდენტების მოძრაობაზე. მან სასურველად მიიჩნია, კავშირი იმ რეს დისიდენტებთან, რომლებიც აღიარებენ საბჭოთა კავშირში შემავალ მებრძოლ მცირე ერთა დამოუკიდებელობის უფლებებს.

მან ილაპარაკა მომქმედ ეროვნულ ძალების ტაქტიკაზე და მოქმედების მიმართულებაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა საინტერესო კამათი. კრებამ მიიღო ზოგიერთი პრაქტიკული ზომების გატარების საჭიროება და სოხოვა საზღვარგარეთელ ბიუროს მისი შესრულება.

გ. ბ.

ღია წერილი „თავისუფლების ტრიბუნას“ პასუხისმგებელს რედაქტორს, ბატონ გიორგი წერეთელს.

„თავისუფლების ტრიბუნას“ № 24-ში, გავიცანი თქვენს წერილს, ვლადიმერ უვანის დალუპვის წლისთვეზე გამართულ პანაშვიდის შესახებ და გაოცებული დაკრჩი, რომ თქვენ გსურთ მოაჩენოთ მკითხველს, შექმნათ შთაბეჭდილება, რომ, გარდა თქვენს წერილში დასახელებულ პირებისა, საზოგადოება იზიარებდა თქვენს ინიციატივას. სინამდვილეში კი, დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოებისა უდროოდ სთვლიდა ამ პანაშვიდის გამართვას, არა იმისათვის რომ მას სხვაზე ნაკლებად არ ენანებოდა ქართველი კაცის დანთხეული სისხლი, არამედ მას მიაჩნდა მიზანშეუწონლად, განცალკევებულად მისი ხსოვნის ონიშვნა, მით უმეტეს რომ მეორე დღეს, 25 თებერვალს, დანიშნული იყო სამგლოვიარო ტრადიციული პანაშვიდი ყველა დალუპულ მამულიშვილთა ხსოვნის სადიდებლად.

ქართულ საზოგადოებას, როგორც აქ ისე ჩვენს სამშობლოში, არ სურს გახდეს მონაწილე ტერორისტული აქტების, რადგანაც ეს სრულიად სრ გამომდინარეობს ჩვენი პატარა ქვეყნის ვითარებასა და ინტერესებისაგან.

თქვენს მიერ ასეთი ცალმხრივი საკითხის გაშუქება თიშავს და არღვევს ჩვენ სულიერ ერთობას და მოაქვს მთელ შავს და არღვევს ჩვენ სულიერ ერთობას და ვნება მოაქს მთელ საქმსათვის, რომელსაც ჩვენ ყველას გვსურს ვემსახუროთ.

დასასრულს მსურს მოგაგონოთ, რომ უბრალო საზოგადოებრივი ეთიკა მოითხოვდა შემკითხებოდით პარიზის ქართველობის მიერ არჩეულ საოცისტომოს თავმჯდომარეს.

ქართული სალაშით ვიქტორ ხომერიგი.

„ჩვენი დროშას“ რედაქტორის.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს მომავალ ნომერში მოათავსოთ ეს პატარა განცხადება:

— უკანასკნელ „თავისუფლების ტრიბუნაში“ № 24

1979 წლისა არის ჩემი სახელი და გვარი, მე მხოლოდ მი-  
 ვაწოდე „თავ. ტრ.“ ას რედაქტორს, ბ-ნ გ. ჭერეთელს,  
 გან. „კომუნისტის“ ის ნომერი, რომელშიც მოყვანილია  
 1921 წლის ბრძოლების ერთერთი ეპიზოდი კომუნის-  
 ტურად გაყალბებული, მის გაზეთს შეეძლო, საინფორ-  
 მაციოთ ამ ამბის დაბეჭდვა. მე პირადათ, არავითარი წე-  
 რილი დასაბეჭდათ არ მიმიცა და ვწუხარ რომ არის ჩე-  
 მი სახელი და გვარი „თ. ტ“. ნომერში.  
 ვიმეორებ: არავითარი საგაზიონო წერილი არ მიმიცა.  
 ამხანაგური სალამით: ვ. ჩუბინიძე.



### † 6060 ჩერქეზიშვილი — გვაზაგასი.

1 მარტს 1979 წლის, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა  
 ნინო ჩერქეზიშვილი — გვაზაგასი; ჭიდათ პატივცემული  
 და განათლებული ქართველი მანდილოსანი იყო მეუღლე  
 ცნობილ საზოგადო მოღვაწის გიორგი გვაზაგასი, საქარ-  
 თველოს დამფუძნებელი კრების თვალსაჩინო ; წევრის,  
 ეროვ. დემოკრატიული პარტიის დამაარსებელთაგანის,  
 გამოჩენილი იურისტის და მწერლის.

განსვენებული ნინო იყო ჩერქეზიშვილების იმ დიდ  
 ოჯახიდან, რომელთაც თავიდანვე ხალხის სამსახურში  
 ჩადგნენ და მათვის იღწოდნენ.

საუკუნო იყოს იმ ლირსეული დამიანის სახსენებელი!  
 ჩეენი გულწრფელი სამშიმარი მის ლირსეულ ოჯახს.

ქ. სოშიმში გარდაიცვალა შავდიანი, პატივ-  
 ცემული ქართველი მებრძოლი მოღვაწე.

ჩეენი გულწრფელი თანაგძრნობა მის ოჯახს

28 ნოემ. 1979 გარდაიცვალა შალვა შავლაყაძე. დასაფ-  
 ლივებულია ლევილის სასაფლაოზე.

27 იანვარს 1979 შ. გარდაიცვალა გელაშვილი ნიკო-  
 ლოზი. — დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

30 იანვარს 1979 წ. გარდაიცვალა მიხეილ ნახიდაშვილი. — დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

21 ოქტომბერვალს 1979 წ. გარდაიცვალა ენუქიძე ვანო. — დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

14 აპრილს 1979 წ. გარდაიცვალა ერისთავი რიმა. — დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

30 აპრილს 1979 უეცრად გარდაიცვალა კერესელიიძე ლეო გიორგის ძე. — დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

### ვ თ ხ დ ი

კ. ინასარიძე	200 ფრ.
სომხის სათვისტომო	200
გრ. ქვარცხავა	100
აკ. შავგულიძე	100
პრ. ინწყირველი	100
გერ. ბოლქვაძე	100
მიხ. ხუნდაძე	100
გრ. ბაჩამიძე	100
ვ. ჭელიძე	100
ჯაბა ხაბულიანი	100
გრ. წერეთელი	100
გრ. წერეთელი	120
დ. ქიმერიძე	50
X	50
მეგობრისაგან	50
X	50
რ. გოგიტიძე	50
გრ. ლომაძე	50
ლ. ფალავა	50
ქ-ნი მ. სტურა	50
პ. ს.	50
ინ. პაპუაშვილი	20
X	50

„ჩვენი დროშას“ ქს № 92  
ტექნიკური მიზეზების გა-  
მო დაგვიანებით გამოღის.

Gérant : Pr. Intskirvefi.

Imprimerie Coopérative Arpajonnaise  
95, Grande-Rue — 912190 ARPAJON

Hors commerce